პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
კვირა 7 იანვარი
№ 6 (17351)
ფასი 2 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1978 წლის დეკემბერში მიიღეს დადგენილება „ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ". ამ საკითხებზე უკანასკნელი წლების მანძილზე მიღებულმა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებამ შესაძ ლ ებ ობა მოგვცა გაგვეუმჯობესებინა ბუნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების გამოყენება. მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარებისა და სულ უფრო მეტი ბუნებრივი რესურსის ექსპლოატაციის პირობებში ბუნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სოციალური ამოცანაა.

სკკპ XXV ყრილობისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის მიერ დასახული ამოცანების რაც შეიძლება სრული გადაწყვეტის მიზნით საჭიროა შემდგომში შევიმუშაოთ და განვახორციელოთ ბუნებრივი გარემოს დაცვისა და ბის სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენების ღონისძიებანი.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებმა, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ უზრუნველყვეს მოწვიანი, წყლისა და ჰაერის აუზის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გამრავლების ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელება.

სსრ კავშირის ცალკეული სამინისტროები და უწყებები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მცირენარჩენიანი ტექნოლოგიური პროცესების, აგრეთვე წყლათ სარგებლობის გაუდინარი სისტემების შემუშავებასა და დანერგვას. მთელი რიგი საწარმოები აღჭურვილი არ არის გაზისა და წყლის საწმენდი დანადგარებით და კონტროლის შესაბამისი ხელსაწყოებით.

ზოგიერთი სამინისტრო და უწყება არ ახორციელებს მიწების რეულტივაციის საჭირო ღონისძიებებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები კი სათანადო კონტროლს არ უწევენ ამ სამუშაოთა დროულ ჩატარებას. სახალხო მეურნეობას მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ნიადაგების ეროზია. არის ყოველწლიანი ნაკრძალების საქმე, ცხოველთა და მცენარეული სამყაროს დაცვის ორგანიზაციაში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებ მ მოლიანად ვერ უზრუნველყვეს ბუნების დაცვის მთელ რიგ პრობლემო საკითხებზე ფუნდამენტური კვლევის ორგანიზაცია.

დადგენილებაში გათვალისწინებულია ბუნების დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ბუნებრივი გარემოს მდგომარეობისადმი დაკვირვებისა და კონტროლის სახელმწიფო სისტემის ორგანიზაციისა და საქმიანობისათვის, ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ჰაერის აუზების გამოყენების რეჟიმისა და მისი გაჭუჭყიანების წყაროებისადმი, ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებათა ზღვრული გამონაბოლქვების ნორმების შემუშავებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება.

სამინისტროებისა და უწყებების მიერ შესათანხმებლად წარმოდგენილი საწარმოო და სხვა დანიშნულების ობიექტების განლაგების სქემებისა და ატმოსფეროს გაჭუჭყიანების თავიდან აცილების მოთხოვნების დაცვის თვალსაზრისით ასეთი ობიექტების აშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტების განხილვა.

სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და ბუნებრივი გარემოსადმი კონტროლის სახელმწიფო კომიტეტს და მის ადგილობრივ ორგანოებს მიეცათ უფლება შეაჩეროონ, თუ როგორ იცავენ ნორმებსა და წესებს ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში საწარმოების, დაწესებულებები, ორგანიზაციები, მშენებლობები და სხვა ობიექტები, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, აგრეთვე შეიტანონ წინადადებანი საჭირო ზომების მიღებამდე იმ მოქმედი საწარმოო ობიექტების ექსპლოატაციის შეჩერების შესახებ, რომლებიც არღვევენ დადგენილ ნორმებს.

სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და ბუნებრივი გარემოსადმი კონტროლის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მრეწველობაში უსაფრთხო სამუშაოებისადმი ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტს დაეკისრათ გაუწიონ კონტროლი იმას, თუ როგორ ახორციელებენ გაერთიანებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებით დადგენილ ბუნების დაცვის შესაბამის დავალებებს.

იმ მიზნით, რომ განისაზღვროს ბუნების დაცვის, ბუნებრივი გარემოს გაჭუჭყიანებისა და დეგრადაციის თავიდან აცილების, სახალხო მეურნეობაში ბუნებრივი რესურსების რაც შეიძლება ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფის კომპლექსური ღონისძიებანი, საჭიროდ არის მიჩნეული შემუშავებულ იქნეს ბუნების დაცვის ტერიტორიული კომპლექსური სქემები. სსრ კავშირის სახმშენს დაევალა შეიტანოს ცვლილებანი სხვადასხვა ობიექტის დაპროექტებისა და მშენებლობის მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებში ბუნების დაცვის ღონისძიებათა შესრულების თვალსაზრისით.

დადგენილებით გათვალისწინებულია მცირენარჩენიანი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის, აგრეთვე გაზისებრი, თხევადი და მყარი საწარმოო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ნარჩენების გაუვნებლების, გადამუშავებისა და გაწმენდის სისტემის დანერგვის ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება და განხორციელება. სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ უზრუნველყონ წყალმომარაგების სისტემებისა და საწმენდი ნაგებობებისათვის მოწყობილობისა და მილსადენი არმატურის შემუშავება და სერიული წარმოების ათვისება, ბუნებრივი გარემოს გაჭუჭყიანებისადმი კონტროლის ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების წარმოება, გაზსაწმენდი და მტვერსაჭერი მოწყობილობის, აპარატურისა და მათი სათადარიგო ნაწილების დამამზადებელი ქარხნების მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა.

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრომ სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად უნდა შეიმუშაონ და დაამზადონ წყალსაღები ნაგებობებისათვის მაღალეფექტიანი თევზგადამღობ მოწყობილობათა ნიმუშები.

ვითვალისწინებთ რა ტორფის რესურსების შეზღუდულობას, ტორფნარების წყალმარეგულირებელი როლს და ტორფის რესურსების დაცვის საჭიროებას სოფლის მეურნეობისათვის, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს მონაწილეობით განახორციელონ ღონისძიებანი, რათა გაუმჯობესდეს ტორფის სხვადასხვა გამოყენება, სხვა სახეობის სათბობზე გადაიყვანონ სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში განლაგებული თბოელექტროსადგურები, რომლებიც ტორფს სათბობად იყენებენ.

იმ მიზნით, რომ აღიკვეთოს გეოლოგიური — სადაზვერვო და ძიებები სამუშაოების, სამრეწველო მშენებლობისა და ტრანსპორტის უარყოფითი გავლენა ტუნდრის ზონისა და ბაიკალ-ამურის магистральის მშენებლობის ზონის ბუნებრივ გარემოზე, დასახულია განხორციელდეს ამ ზონების ბუნების დაცვის ღონისძიებათა კომპლექსი.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც ეწევიან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასა და გადამუშავებას, უნდა განახორციელონ ბუნებრივ გარემოზე გადახსნილი და შემცველი ქანების ნაყარის მავნე გავლენის თავიდან აცილების ღონისძიებანი, შეიმუშაონ და განახორციელონ ძველი ბუნებრივი ნაყარების გაკეთილშობილებისა და რეკულტივაციის ღონისძიებანი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და ბუნებრივი გარემოსადმი კონტროლის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ გააძლიერონ კონტროლი, რათა ახალი საწარმოებისა და ნაგებობების დაპროექტების, მშენებლობისა და მოქმედთა რეკონსტრუქციის დროს შეასრულონ მავნე გამონაბოლქვებით გაჭუჭყიანებისაგან ბუნებრივი გარემოს დაცვის წესები, აგრეთვე საწარმოებისა და ნაგებობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტებში უზრუნველყონ მცირენარჩენიანი ტექნოლოგიის, უწყლო ტექნოლოგიური პროცესების, საბრუნავი წყალმომარაგების, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის გაუდინარი სისტემების და გაჭუჭყიანებისაგან ბუნებრივი გარემოს დაცვის სხვა პროგრესული მეთოდების ფართო გამოყენება.

სსრ კავშირის სახმშენმა და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა უნდა გაფართოონ ქალაქების საცხოვრებელი რაიონებისა და სხვა დასახლებული პუნქტების სამრეწველო და სატრანსპორტო ხმაურისაგან დაცვის სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები.

დადგენილებაში გათვალისწინებულია მოწესრიგდეს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, ბიოსფეროს, მცირენარჩენიანი ტექნოლოგიების პრობლემებზე მომუშავე სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების ქსელი, გაფართოვდეს ტექნიკურ-ეკონომიკური გამოკვლევები ამ საკითხებზე. საჭიროდ არის მიჩნეული შემუშავდეს ტიპობრივ დებულებათა პროექტები სახელმწიფო ნაკრძალების, ბუნების ძეგლების, ბოტანიკური ბაღების, ზოოლოგიური და დენდროლოგიური პარკების, ნაკრძალების, ბუნებრივი (ეროვნული) პარკების შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ ხელშეწყობა არ მოაკლონ ბუნების დაცვის რესპუბლიკურ საზოგადოებებს ბუნების დაცვის კანონმდებლობის შესრულებისადმი საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებაში, ბუნების დაცვისა და მისი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გამრავლების პროპაგანდაში, აგრეთვე კვალიფიციური სპეციალისტებით ამ საზოგადოებათა განმტკიცებასა და საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მათს უზრუნველყოფაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიზანშეწონილად ცნეს, რომ საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების დროს აუცილებლად გაითვალისწინონ, თუ როგორ ასრულებენ ისინი ბუნების დაცვის გეგმებსა და ღონისძიებებს, როგორ იცავენ ბუნებრივი რესურსების გამოყენების, საწარმოო ნარჩენების გაწმენდისა და გადამუშავების ნორმებსა და წესებს.

სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნას" და ბუნების დაცვის რესპუბლიკურ საზოგადოებებს დაევალათ უზრუნველყონ, რომ გაძლიერდეს მოსახლეობას შორის ბუნების დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გამრავლების ცოდნის გავრცელებისათვის მუშაობა. მიზანშეწონილად არის მიჩნეული გამოიცეს სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „ბუნება და ადამიანი".

ხალხის კანდიდატები

გრძელდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის სამმართველოს საქტო დარბაზში შეიკრიბნენ ამ საწარმოს მეშახტენი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურენი, რათა დაესახელებინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთი კანდიდატები. წინასაარჩევნო კრება შესავალი სიტყვით გახსნა შახტის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ნ. გ. კბილაძემ.

სიტყვა ეძლევა საწმენდი სანგრევის მუშას ჯ. ნ. გოგოლაძეს, რომელმაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 190 წყალტუბოს საარჩევნო ოლქში დაასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი დიმიტრი თევდორეს ძე უსტინოვი.

ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი შახტის მთავარმა ეკონომისტმა ტ. დ. დვალმა, უბნის მნორმავმა რ. ნ. მაჭავარიანმა და უბნის უფროსმა მ. შ. ბოჭორიშვილმა.

ტრიბუნაზეა ორჯონიკიძის სახელობის შახტის მესამე საექსპლოატაციო უბნის საწმენდი სანგრევის მუშა ე. ა. გელაძე, რომელმაც მხარი დაუჭირა დ. თ. უსტინოვის კანდიდატურას და წინადადება შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამავე საარჩევნო ოლქში დაასახელონ მისი კოლეგა, საწმენდი სანგრევის მუშა ევტიხი ვიქტორის ძე სვანიძე.

კანდიდატის შესახებ კრებაზე გულთბილად ილაპარაკეს მეშახტემ ვ. ვ. მესხორაძემ, უბნის უფროსმა ჯ. ა. გვენეტაძემ და სამთო ოსტატმა გ. კ. ქათამაძემ.

კრებაზე ერთსულოვნად მიღებულია დადგენილება: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად № 190 წყალტუბოს საარჩევნო ოლქში დასახელონ **დიმიტრი თევდორეს ძე უსტინოვი და ევტიხი ვიქტორის ძე სვანიძე.**

დ. თ. უსტინოვისა და ე. ვ. სვანიძის კანდიდატურები ამავე ოლქში დაასახელეს წყალტუბოს სანატორიუმ „მეშახტის" მუშათა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე.

დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა წინასაარჩევნო კრებამ ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის მეცხვარეობის, ჯიშთსა ა შ ე ნ ე საბჭოთა მეურნეობაში. კრება გახსნა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ა. ი. მაშიაძემ.

სიტყვა ეძლევა საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის ბრიგადის ბრიგადირს ნ. ი. ილურიძეს. მან წინადადება შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 187 თელავის საარჩევნო ოლქში დაასახელონ ციცინო ნიკოლოზის ასული შაბალაძე.

ამ კანდიდატურას მხურვალედ დაუჭირეს მხარი მეღორე მ. ს. თათარაიძემ, აგრონომმა ს. ი. იბრაგიმოვმა და სხვებმა.

კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 187 თელავის საარჩევნო ოლქში დაასახელოს **ციცინო ნიკოლოზის ასული შაბალაძე.**

ც. ნ. შაბალაძის კანდიდატურა დაასახელეს აგრეთვე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართა თელავის რაიონის ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. (საქინფორმი).

ოქტომბრის თანატოლი

საქართველოში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში მაღალი პოლიტიკური აქტიურობის ვითარებაში მიმდინარეობს წინასაარჩევნო კრებები. საბჭოთა ხალხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებს კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის საუკეთესო წარმომადგენლებს.

აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის სკკპ XXIV ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხაკიბეი აიბა დასახელებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ხ. აიბას მთელი ცხოვრება პარტიისა და ხალხის სამსახურის ბრწყინვალე მაგალითია. ოქტომბრის თანატოლმა თავის სამშობლოსთან ერთად ბრძოლის, და გამარჯვების სახელოვანი გზა განვლო. დიდი სამამულო ომის მონაწილე, პარტიის წევრი 1942 წლიდან, ლენინის, წითელი დროშის, შრომის წითელი დროშის, I და II ხარისხის სამამულო ომის ორდენების, 12 მედლის კავალერი ხაკიბეი აიბა წლების განმავლობაში სათავეში უდგას ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთ მოწინავე მეურნეობას, კოლმეურნეობა მუდამ მაღალ მაჩვენებლებს აღწევს სახელმწიფოსათვის ჩაის, სიმინდის, თამბაქოს, მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვაში.

სურათებზე: თანასოფლელები ხ. აიბას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებას ულოცავენ; სოფელ ლიხნის სკკპ XXIV ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხაკიბეი აიბა.

ე. ჯოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შრომის ვაჟსტეზე

ეს დღეები სოფლად

არემონტებენ ტექნიკას

ფოთელწყარო. („კომუნისტის" კორ.). ზემო ქედის კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი გ. მელქიშვილი ხელმძღვანელობს იანვრის პირველ დღეებში 2 სათესელა და 3 გუთანი შეაკეთა. მანქანების რემონტი წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე ზემო მაჩხაანის, ჯაფარიძის, ქვემო ქედის კოლმეურნეობებში. რაიონის მექანიზატორები საგაზაფხულო სამუშაოებს მომზადებული შეხვდებიან.

დროზე იზრუნეს

ახალციხე. („კომუნისტის" კორ.). აქაურმა მხვნელ-მთესველებმა წლევანდელი მოსავლისათვის ალოობის დროსვე იზრუნეს — გამოყვეს საჭირო რაოდენობის თესლი. მათ უკვე მომარაგებული აქვთ მარცვლეულისა და სამარცვლე პარკოსანი კულტურების 5.722 ცენტნერი თესლი, რაც გვიმით ნავარაუდევს 502 ცენტნერით სჭარბობს. მემონდვიეებმა ამ დღეებში დაამთავრეს თესლის სათეს კონდიციამდე აყვანა.

საგაზაფხულო თესვისათვის კარგად მოემზადნენ აგრეთვე ახალქალაქელი მიწათმოქმედნი. მათ 39.397 ცენტნერი მარცვლეული და პარკოსანი კულტურების თესლი გაწმინდეს და დასათესად მზადა აქვთ, გეგმით კი 29.360 ცენტნერს ითვალისწინებდნენ.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 325 წლისთავი

ლენინის დროშით, ოქტომბრის გზით

ვ. კოჩემასოვი,

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

325 წელი გავიდა დიდი მოვლენის — რუსეთთან უკრაინის შეერთების დღიდან, ხოლო ჩვენი ხალხების ახდენილი ოცნების ბედნიერება კვლავ ცოცხლობს.

ჩვენი ხალხების ძირეული ეროვნული ინტერესების ერთიანობა განაპირობა მათმა რევოლუციურმა ერთობამ. ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით უკრაინის მუშებმა და გლეხებმა პეტროგრადის პროლეტარიატის შემდეგ, თავიანთ მიწაწყალზე აღმართეს ოქტომბრის წითელი დროშა. ჩვენი ხალხები კიდევ უფრო დაუკავშირა შინაგანი კონტრრევოლუციისა და უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ ბრძოლაში ერთობლივად დაღვრილმა სისხლმა.

ყველაზე მრისხანე განსაცდელს ჩვენმა მეგობრობამ გაუძლო დიდი სამამულო ომის წლებში. საერთო სამშობლოს მშობლიურ ჭერქვეშ გაერთიანებულმა ჩვენმა ხალხებმა განვლეს ეპოქალური გმირობის ჭეშმარიტად დიადი გზა, რომელიც დაგვირგვინდა განვითარებული სოციალიზმის აშენებით.

ახლა უკრაინა და რუსეთი საბჭოთა კავშირის უდიდესი რესპუბლიკები არიან. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საოცრად, არნახულად შეიცვალა მათი ეკონომიკა, კულტურა, ცხოვრების სოციალური პირობები.

რუსეთის ფედერაციის მშრომელებს, რომლებიც ემზადებიან რუსეთთან უკრაინის შეერთების 325 წლისთავის დღესასწაულისათვის, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ამრავლონ ჩვენი ბოძმე ხალხების საერთო წვლილი კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

იუბილეს დღეებში, როცა ვაჯამებთ ეკონომიკისა და კულტურის დარგში ჩვენი ერთობლივი წარმატებების შედეგებს, კიდევ ერთხელ დიდი სიამაყით თვალს ვავლებთ ერთად განვლილ ისტორიულ გზას. რუსი და რუსეთის ფედერაციის სხვა ხალხების სახელით ჩვენს უკრაინელ მეგობრებს ძმურად მივესალმებით და ვუსურვებთ აყვავებასა და შემდგომ წარმატებებს საბჭოთა ხალხების დიად ოჯახში. (საკდესი).

ა. ლიაშკო

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

სანუკვარი ოცნება საერთო გზის შესახებ მრავალი საუკუნის მანძილზე ცოცხლობდა რუსულ თქმულებებსა და უკრაინულ გადმოცემებში. მაგრამ ბევრი განსაცდელის გადატანა მოუხდათ რუსებსა და უკრაინელებს, რომ 1654 წელს ძველ პერეიასლავში სამუდამოდ შეერთებულიყო მათი გზები.

ეს მეგობრობა მტკიცდებოდა, იწრთობოდა მკაცრი განსაცდელის ქარცეცხლში. ინტერნაციონალური სოლიდარობის კანონების ერთგული უკრაინელი ხალხი რუსეთის მუშათა კლასის, მთელი მშრომელების კვალდაკვალ დაადგა პროლეტარული რევოლუციის, სოციალისტური გარდაქმნის გზას. იმ დღეებში, როცა საბჭოთა ხალხების მთელი მრავალეროვანი ოჯახი ზეიმობდა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს, ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა, რომ მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკების თანამეგობრობით, მათთან გაერთიანებითა და ამით საკუთარი ძალების გაათმაგებით შეძლო უკრაინელმა ხალხმა მართლაც ლაღად გაეშალა მხრები, ეპოვა თავისი შრომითი ენერგიისა და ნიჭის ასპარეზი.

და თუ უკრაინამ შეძლო საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამრეწველო წარმოების მოცულობა გაედიდებინა 100-ჯერ და მეტად, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია თითქმის ოთხჯერ, თუ ახლა მისი ინდუსტრია ყოველწლიურად აწარმოებს სამნახევარჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე მთელი საბჭოთა კავშირი უშვებდა ომამდე 1940 წელს, ეს არის მთელი საბჭოთა ხალხის შრომის შესანიშნავი ნაყოფი, ეს მოწმობს სოციალისტური წყობილების ამოუწურავ შესაძლებლობებს, კომუნისტური პარტიის ბრძნულ ხელმძღვანელობას.

ამ დღეებში, როცა აღვნიშნავთ რუსეთთან უკრაინის შეერთების 325 წლისთავს, უდიდესი მადლიერებით მივმართავთ ლენინის დიად პარტიას, რომელიც წარმართავს მოძმე ხალხთა შემოქმედებით ენერგიას სანუკვარი მიზნის მიღწევის — კომუნიზმის აშენებისათვის. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობა

16 იანვარს მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და კომუნისტური მშენებლობის აქტუალურ პრობლემებს მიეძღვნა მორიგი მეცადინეობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სემინარ-ლექტორიუმისა, რომელსაც ხელმძღვანელობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

მოხსენება „მეათე ხუთწლედის თავისებურებანი და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის შემდგომი აღმავლობისათვის" გააკეთა ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ინსტიტუტის დირექტორმა ვ. მელქაძემ.

ინფორმაციები მშრომელთა ზნეობრივი აღზრდის მთავარი მიმართულებებისა და სრულყოფის გზების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ნაშრომებთა ორტომეულის — „სკკპ იდეოლოგიური მუშაობის აქტუალური საკითხები" — მიმოხილვით და იდეოლოგიურ საკითხებზე სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ გააკეთეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგემ ე. ა. სეხნიაშვილმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ თ. მ. ჯაფარლიმ.

სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

(საქინფორმი).

საბჭოთა ავგეზი

▲ მოსკოვის. მოსკოვის ოლქის იარაღმის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის კოლექტივმა 1979 წლის სოციალისტურ ვალდებულებებში დასახა მაღალი მიჯნა — ყოველ ჰექტარზე მოიწიოს საშუალოდ 605 ცენტნერი ბოსტნეული.

▲ ივანოვსკი. ნერიუნგრის, „მცირე ბამის" ტრასის დაბის მცხოვრებთა ბინებში ცისფერი ეკრანი აციმციმდა. მოსკოვთან ეს დასახლებული პუნქტები დაკავშირა ტენდა-ნერიუნგრის ახალმა სარელეო ხაზმა. (საკდესი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1979 წლის 4 იანვარს 72 წლისა გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი

ივანე ალექსანდრეს ძე გრიშმანოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი	სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

მაღლიანი მიწა

გიორგი მდივანი

ძველად თბილისის გარშემო ტყეები შრიალებდა. აქ იყრიდნენ ოლმე თავს ქართველი მამულიშვილები, რათა შური ეძიათ დამპყრობლებზე. მტერი კი პასუხად კაფავდა და წვავდა ტყეს. ასე თანდათანობით, საუკუნეთა მანძილზე ქალაქის სანახები გაფაბურდა. დაშრა მიწისქვეშა წყაროები, მდინარეები და ტბები. მცხუნვარე მზე და ხორშაკი ყველაფერს წვავდა, მტვრად აქცევდა ბარაქიან მიწას.

სამგორის ველი, რომელიც დედაქალაქიდან რამდენიმე კილომეტრზეა, დაწყევლილ ადგილად ითვლებოდა. ვერკეთილს უწოდებდნენ აქაურობას. აქ ვერაფერს ვერ ნახავდით, გადაბუგული მიწისა და რამდენიმე პატარა მლაშე ტბის გარდა. აქედან მხურვალე, ცხელი პაერი იშრებოდა ქალაქში.

დიდი სამამულო ომის შემდეგ არხი გაიყვანეს და ივრის წყალი სამგორის ველზე მოვიდა. მლაშე ტბებმა ადგილი დაუთმეს თბილისის ზღვას, რომელიც სამას მილიონ კუბურ მეტრ წყალს იტევს. აყვავდა სამგორის ველი და ადგილმა, რომელსაც ვერკეთილს უწოდებდნენ, სახელი გამოიცვალა — ვარკეთილი გახდა.

არაერთხელ ყოფილვარ ამ ადგილებში, მინახავს ოდესღაც გადაბუგული ველი და ზეგანი, მკვდარი მიწა. ახლა აქ ბარაქა დატრიალდა — მწვანედ ხასხასებს ბაღ-ვენახები, ცად აჭრილა ქარსაცავი ზოლების ხის კენწეროები. და ასე გგონია, მიწამ, რომელიც საუკუნეთა მანძილზე უდაბური იყო, ადამიანისათვის ამ საუკუნეთა ვალის დაბრუნება გადაწყვიტაო.

ახლა, საარჩევნო კამპანიის დღეებში, ყოველი ჩვენგანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, აჯამებს არჩევნებიდან არჩევნებამდე დროის მანძილზე ხალხის საგმირო საქმეთა შედეგებს. ეს საქმენი კი ყველგან იგრძნობა — დიდსა და მცირეში. ძნელი არ არის მათი დანახვა. ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის მაგალითზეც. ეს მეურნეობა სამგორის ველის სამი ათას ჰექტარზე გადაჭიმულა. იგი სუფრის ყურძენსა და ხილს უგზავნის თბილისსა და რუსთავს. აქ ნახავთ მშვენიერ, თანამედროვე საცხოვრებელ სახლებს, მაღაზიებს, კულტურის სახლს.

ამ გაცოცხლებულ ყამირ მიწაზე ამას წინათ ვიყავი და დავესწარი ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „ყამირის“ განხილვას. გამოდიოდნენ აკადემიკოსები, მელიორატორები, მექანიზატორები, ნიადაგმცოდნეები, ლიტერატორები, ხელოვნების მუშაკები. ვარკეთილის კულტურის სახლის დიდი დარბაზი სავიე იყო გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობების მშრომელებით. სწორედ ეს რაიონი გახდა საჩვენებელი თბილისის გარშემო ყამირი მიწების ათვისებაში, და ყურადღებითა და ხალით, სასათბურე მეურნეობების, მეფრინველეობის ფაბრიკებისა და მერძეველობის ფერმების პროდუქციით ამარაგებს ახლა თბილისსა და რუსთავს.

მე ინტერესით ვუსმენდი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „ყამირის“ განხილვისას რას ლაპარაკობდნენ აქ ადამიანები ამ წიგნის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე თანამედროვე სოფლის მეურნეობისათვის, კერძოდ საქართველოსათვის.

პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა გივი კვანტალიანმა მიამბო, თუ როგორ გარდაიქმნა გარდაბნის რაიონების მიწები. ამ რაიონში ოცდარვა საბჭოთა მეურნეობაა, ასიათასი მცხოვრებიდან უმრავლესობა სოფლის მეურნეობაში მუშაობს.

— ჩვენი ამოცანაა, — თქვა რაიკომის მდივანმა, — დავარწყულოთ მიწა და მაშინ ასკეცად აგვინაზღაურებს შრომას.

1978 წელს საქართველომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების არნახული მოსავალი მოიყვანა. ამის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გასული წლის დეკემბრის პლენუმზე ილაპარაკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ.

სამამულო მეჩაიეობის მთელი ისტორიის მანძილზე პირველად, — თქვა მან, — გადამმუშავებელ მრეწველობას 430 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ჩაბარდა. უხვი მოსავალი მოიყვანეს ჩვენმა მევენახეებმაც. ეგებმით გათვალისწინებული 510 ათასი ტონის ნაცვლად დამამზადებელმა პუნქტებმა 574,8 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ნედლეული მიიღეს.

საუბრის დროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ დასძინა: მარტო კახეთმა წელს 391,3 ათასი ტონა ყურძენი მოიწია. გვალვიანი მიწებისა და მის გარშემო მდებარე უდაბნოს ათვისება ერთიორად და მეტად გაზრდის მოსავალს. და მაშინ მარტო კახეთი წელიწადში დაახლოებით მილიონ ტონა ყურძენს მოგვცემს. დაპროექტებულია წყალსატევებისა და არხების მთელი სისტემა. თქვენთვის საინტერესო იქნება, თუ გაეცნობით გარე კახეთის ორასი ათასი ჰექტარი ყამირი და გვალვიანი მიწების ათვისების გეგმებს, იმ საირიგაციო სისტემების გეგმებს, რომლებიც უკვე იქმნება. ჩვენი ამოცანაა სარწყავად გამოიყენოთ კახეთის ორი მდინარის — ივრისა და ალაზნის წყალი.

დაწვრილებით მესაუბრა ყველა საპროექტო საირიგაციო სამუშაოს მთავარი ინჟინერი და ხელმძღვანელი გიორგი მიქელაძე. იგი ალტაცებით მიამბობდა, თუ რა არის დღეს კახეთი და რა იქნება უახლოეს წლებში, როგორ დაიფარება ბაღ-ვენახებით უდაბური მიწები. მიქელაძე ქალაღლდის ფურცელზე მიხატავდა მდინარეებისა და არხების „ალაპოტებს, აღნიშნავდა მომავალი წყალსაცავების ადგილებსა და მოცულობას, მათ სიმაღლეს ზღვის დონიდან, მიჩვენებდა სად და რამდენი ათასი ჰექტარი მოირწყვება.

სპპმარისია გამოსცდე ბარაქიან ალაზნის ველს, სადაც კახეთის განთქმული ზვრები გადაჭიმულა, გარე კახეთის დაგვალული მიწების დანახვაზე გულს დარდი შემოაწვებოდა. ახა წარმოიდგინეთ: თვით ჰორიზონტამდე ერთ ძირ ხეს, ერთ ბუჩქს ვერ დაინახავთ. არის მხოლოდ მიმოფანტული ბაგები, სადაც მწყემსები ღამღამობით ცხვრის ფარას შეაფარებენ ხოლმე ტურა-მგლის შიშით. აქ ადამიანებისა და ცხოველებისათვის შორიდან ცისტერნებით ჩამოაქვთ წყალი. ხოლო ადრე გაზაფხულზე ცოტა ხნით ამბინდება ბალახი, და სწორედ მაშინ მოერეკებიან საბალახოდ ცხვარს.

შორეულ საუკუნეებში ამ უდაბურ ადგილას კაცს უცხოვრია. ამის მოწმეა ციხე-კოშკების ნანგრევები, ვაზისა თუ ხეხილის ღონიერი ფესვების ნარჩენები. და თვით ადგილების სახელწოდებანი, მაგალითად, ნაზარლები, სამუხი და სხვ.

მომხდური მტერი ქართულ მიწა-წყალზე მარტო ტყეებს, სოფლებსა და ქალაქებს როდი წვავდა და ბუგავდა. უწინარესად ვაზსა ჩეხავდა, რომ ხალხისათვის არსებობის მთავარი სახსარი წაერთმია. ამრიგად, ეს ადგილები ჯერ კიდევ ძველთა ძველ დროში გაუუდაბურებიათ. ყოველთვის დიდი იყო ხალხის წყურვილი არა მარტო დაემარცხებინა გვალვა, არამედ შეეჩერებინა კიდეც უდაბნოს შემოტევა. ჩვენს დღეებში ახდა ეს ოცნება. საქართველოში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ კახეთმა გაორკეცოს თავისი ნაყოფიერი მიწები. საერთო ანგარიშით ახალმა საირიგაციო სისტემამ წყალსაცავებს ხუთასი მილიონი კუბური მეტრი წყალი უნდა მისცეს.

რა თქმა უნდა, მთელი ეს გრანდიოზული მუშაობა თანდათანობით მიმდინარეობს. პირველი რიგია ზემო ალაზნის სისტემა, რომელიც ახმეტის, თელავისა და გურჯაანის რაიონების ორმოცდაერთ ათას ჰექტარ მიწას რწყავს. აქ უკვე გაუკანონია სამოცდათვრამეტი კილომეტრი არხი და წყალი ვენახებში მიედინება. და თუ წინათ ჰექტარი სულ ოთხ-ნახევარ ტონა ყურძენს იძლეოდა, წელს მოსავლიანობამ თორმეტ ტონას მიაღწია.

ჯერ კიდევ ორიოდე წლის წინათ, სანამ ზემო ალაზნის არხს გაიყვანდნენ, გვალვის დროს აქ ცისტერნებით ეზიდებოდნენ წყალს. მახლობელი ქალაქებისა და სოფლების მთელი მოსახლეობა გამოდიოდა მეფინველთან სახმარებლად. ვედროებიანი და კოკურებით მოჰქონდათ სარწყავი წყალი. და ეხმარებოდნენ ვაზს, რომ გაეძლო, არ გამხმარიყო. ახლა აქ გვალვის შიში აღარ არის.

წელს უნდა დაამთავრონ არხის მშენებლობის პირველი რიგი ორმოცდაერთი ათასი ჰექტარი ვენახის მოსარწყავად. მაშინვე დაიწყება სამუშაოები გარე კახეთის უდაბნოს სამიციათასი ჰექტარის მოსარწყავად. ამისათვის საშუალოდ წელიწადში საჭირო იქნება სამას ორმოცი მილიონი კუბური მეტრი წყალი.

რა თქმა უნდა, ალაზანი და იორი მაინცდამაინც დიდი მდინარეები არ არის, მტკვარზე გაცილებით ნაკლებია, და თუ ამ მდინარეების შესაძლებლობანი არ მოვაწესრიგეთ, ნაკლებნალექი წლებში სარწყავი მიწები შეიძლება უწყლოდ დარჩეს. ამის თავიდან აცილების მიზნით, საირიგაციო სისტემის ზემოთ შენდება ეგრეთ წოდებული ბირკიანის წყალსაცავი (სოფელ ბირკიანთან), სადაც ზამთარ-გაზაფხულის ჟამს შეგვიძლია ას ოთხმოცდახუთი მილიონი კუბური მეტრი წყალი დავაგროვოთ. გვალვიანობისას ეს წყალი რწყვის

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა **გ. დ. გაბუნია** სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნად და საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრად აირჩია **ბ. დ. მახარაშვილი.**

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბიუროს წევრად აირჩია **ნ. ნ. ნეფედოვი.**

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბიუროს წევრობის მოვალეობისაგან გაათავისუფლა **ბ. თ. ლობჟანიძე** და **ს. ტ. რიგვავა.**

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის მოვალეობისაგან გაათავისუფლა **ა. ო. მოვსესიანი.** (საქინფორმი).

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია

გაიმართა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მერვე სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სესიამ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გაათავისუფლა **ბ. თ. ლობჟანიძე** სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სესიამ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია დეპუტატი **გ. დ. გაბუნია.**

სესიამ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობისაგან გაათავისუფლა **ს. ტ. რიგვავა** სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სესიამ თბილისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად აირჩია **ნ. ნ. ნეფედოვი.** (საქინფორმი).

17 იანვარს იწყება მოსახლეობის საკავშირო აღწერა

ყველა საგჯოთა ადამიანის საქმე

გვესაუბრება საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი

რ. ვ. ბასარია

1979 წლის 17 იანვარს დილის 8 საათზე მილიონობით საბჭოთა ადამიანის ბინებში კარს დაუკაკუნებენ აღმწერლები და სთხოვენ აღსაწერი ფურცლის კითხვებზე პასუხის გაცემას. ასე დაიწყება მოსახლეობის მორიგი საკავშირო აღწერა — ერთ-ერთი ყველაზე დიდი და რთული სტატისტიკური სამუშაო, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შედგენისათვის.

საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსს რ. ვ. ბასარიას აზრი გაეზიარებინა იმის შესახებ, თუ როგორ მოემზადნენ აღწერისათვის საქართველოს ქალაქები და სოფლები.

— უწინარეს ყოვლისა, — თქვა რევაზ ბასარიამ, — ერთგვარი შესწორება უნდა შევიტანოთ: ჩვენს რესპუბლიკაში არა მარტო მთავრდება მოსახლეობის საკავშირო აღწერის ჩატარების მომზადებისათვის მუშაობა, არამედ მის მთელ რიგ ადგილებში იგი უკვე მოეწყო. საქმე ეხება საქართველოს ძნელად მისასვლელ მთიან რაიონებს — ჯავის, ლენინგორის, ყაზბეგის, ლენტეხის, მესტიის რაიონებს, აგრეთვე ახმეტის, სოხუმის, გულრიფშის, ცხინვალისა და დუშეთის რაიონების მთელ რიგ სასოფლო საბჭოებს, სადაც აღწერა ჯერ კიდევ ზაფხულში ჩატარდა.

თუმცა, რა თქმა უნდა, საქართველოს მოსახლეობის აღწერისათვის მთელი ძირითადი მუშაობა ჯერ კიდევ მოგველის.

— მოსახლეობის საკავშირო აღწერის დაწყებამდე რამდენიმე დღეღა დარჩა. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ მისთვის მზადება ყველა რაიონში მთლიანად დამთავრდა და მხოლოდ დასახულ თარიღს — 17 იანვარს უნდა ელოდონ?

— რა თქმა უნდა, ძირითადად რესპუბლიკაში მოსახლეობის საკავშირო აღწერისათვის მთელი მზადება დამთავრებულია. საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილია 304 სააღსაწერო განყოფილება, ორი ათასამდე საინსტრუქტორო და 12 ათასი სააღსაწერო უბანი. სულ მოსახლეობის აღწერის მზადებაში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 18 ათასი კაცი. ყველა მათგანმა გაიარა შესაბამისი მომზადება.

მაგრამ არ შეიძლება, მაგალითად, ვთქვათ, რომ აღწერის მომზადებისათვის ყველაფერი გაკეთდა ისეთ რაიონებში, როგორიცაა ბოგდანოვკის, თერჯოლის, დმანისის, ბოლნისის, წითელწყაროსა და სხვა რაიონებში.

— ალბათ, პრეტენზიებიც გექნებათ რესპუბლიკის ცალკეული სამინისტროებისა და უწყებებისადმი?

— სამწუხაროდ გვაქვს. ჩვენ მეტ დახმარებას ველით საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტისაგან. აქ დაგვიანეს ქართულ და აფხაზურ ენებზე მოსახლეობის საკავშირო აღწერის შესახებ პოპულარული ბროშურების გამოშვება.

სერიოზული საყვედური უნდა ვუთხრათ მშენებლებსაც. № 14 ტრესტმა ვერ დაამთავრა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები აღწერის მასალების შენახვისა და დამუშავებისათვის გამოყოფილ შენობაში.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ მოსახლეობის საკავშირო აღწერის დღეებში საქართველოს ქალაქები, დაბები და სოფლები სიზეიმოდ იყოს გაფორმებული. საჭიროა, კერძოდ, შემოწმდეს საკმარისად არის თუ არა განთებული ყველა ქუჩა, შესახვევი, ჩიხი, ყველა ნაგებობა აქვს თუ არა სახლების ნომრების, ქუჩების დასახლების მკაფიო მაჩვენებლები და სხვ.

კომისიამ დეტალურად განიხილა რესპუბლიკაში მოსახლეობის საკავშირო აღწერის მოწყობისათვის მზადების მდგომარეობა, დასახა არსებულ ნაკლოვანებებთან აღმოფხვრის, ცალკეული საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტის ღონისძიებანი.

კომისიამ გაზეთების „კომუნისტისა“ და „ზარია ვოსტოკას“ რედაქციებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაავალა ფართოდ გააშუქონ გაზეთებში, რადიოთი და ტელევიზიით რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში მოსახლეობის საკავშირო აღწერის მომზადებისა და ჩატარების მიმდინარეობა.

მოსახლეობის საკავშირო აღწერის ჩატარებასთან დაკავშირებულ ყველა მუშაკს უნდა ახსოვდეს ვ. ი. ლენინის სიტყვები: „აღწერის საქმე უწყებრივი საქმე კი არა, არამედ რესპუბლიკის საქმე, ყველა საბჭოთა დაწესებულების საქმეა“. (საქინფორმი).

ახალი მარცვალსაცავი

ბურჯაანის რაიონში მწყობრში ჩადგა კაჭრეთის პურპროდუქტების კომბინატის პირველი რიგი. დღეღამის განმავლობაში წისქვილი 245 ტონა მარცვლეულს ფქვავს, კომბინირებული საკვების საამქრო კი 630 ტონა პროდუქციას უშვებს.

სურათებზე: კაჭრეთის პურპროდუქტების კომბინატის პირველი რიგი; კომბინატის დირექტორი ვიტი მენთეშაშვილი და უფროსი ტექნოლოგი ლევან მჭედლიშვილი თვალყურს ადევნებენ ახალი საწარმოს ტექნოლოგიური ხაზის მუშაობას.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით

მეტი ყურადღება სახალხო მსაჯულთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მათი აქტიურობის ზრდას

□

საბჭოთა ქვეყნის კონსტიტუციამ ადამიანის ბრალეულობის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მხოლოდ სასამართლო ორგანოებს დაუკისრა. „არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, — ნათქვამია სსრკ კონსტიტუციის 150-ე მუხლში, — იგრეთვე დაედოს სისხლის სამართლებრივი სასჯელი, თუ არა სასამართლოს განჩენით და კანონის შესაბამისად“.

მართლმსაჯულების ამ პასუხსაგებ და საპატიო მოვალეობას სასამართლო ახორციელებს მშრომელთა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩეულ მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა მეშვეობით. მოსამართლეებისაგან განსხვავებით, რომლებსაც ხუთი წლის ვადით ირჩევენ, კონსტიტუციამ დაიკანონა, რომ სახალხო მსაჯულების არჩევა ხდება მოქალაქეთა კრებებზე მათ სამუშაო ან საცხოვრებელ ადგილას ღია კენჭისყრით ორ-ნახევარი წლის ვადით. ვ. ი. ლენინის მითითებით, აღნიშნული წესი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების სპეციფიკური ფორმაა, რაც საშუალებას აძლევს ჩვენი ქვეყნის ბევრ მოქალაქეს უშუალო მონაწილეობა მიიღოს მართლმსაჯულების განხორციელებაში.

დღეისათვის რესპუბლიკაში არჩეულია და სასამართლო საქმიანობაში მონაწილეობს 11.760 სახალხო მსაჯული. მათ შორის არიან რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლნი. მსაჯულთა 38,5 პროცენტი უმაღლესი განათლებითაა, 30 პროცენტი მუშაა, ბევრია მათ შორის პარტიის წევრი და კომკავშირელი.

დამნაშავეობასთან ბრძოლის გააქტიურების დღევანდელ პირობებში სასამართლო ორგანოების მუშაობის ყოველი წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გამოიყენებენ რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოები სახალხო მსაჯულებს. კანონი მოსამართლეებისგან მოითხოვს, რომ ისინი სისტემატურად ზრუნავდნენ მსაჯულთა კვალიფიკაციის ამაღლების, მათი აქტიურობის გაზრდისა და სასამართლო საქმიანობის ყველა სტადიაში მათი სრულყოფილი მონაწილეობისათვის.

სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეები სახალხო სასამართლოში განიხილება ერთი მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის მონაწილეობით. სასამართლოს ასეთი შემადგენლობა ხელს უწყობს ყოველმხრივ შემოწმებული, ობიექტური, დასაბუთებული განაჩენისა თუ გადაწყვეტილების გამოტანას. სახალხო მსაჯულები რაოდენობრივად მოსამართლეზე მეტნი არიან. სასამართლო სხდომას კი მოსამართლე თავმჯდომარეობს. გადაწყვეტილების გამოტანა ხდება ხმების უმრავლესობით. ამასთან, სახალხო მსაჯულებს სასამართლო სხდომის თავმჯდომარის თანაბარი უფლებები აქვთ ყველა იმ საკითხის გადაჭრაში, რომლებიც წამოიჭრება საქმის განხილვის დროს. სასამართლოს შემადგენლობის ყველა წევრი, თუ იგი განსაკუთრებული აზრისა დარჩა, ვალდებულია წერილობით ჩამოაყალიბოს ეს აზრი, ეს განმარტება დაერთვება საქმეს, ხოლო შემდეგ კი გადაეცემა ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარეს განაჩენის ან გადაწყვეტილების გაპროტესტების საკითხის გადასაჭრელად.

როგორც ვხედავთ, კანონმდებლობით რეალურად არის უზრუნველყოფილი სახალხო მსაჯულთა მიერ მართლმსაჯულების პრაქტიკული განხორციელება. ამასთან მსაჯულების აუცილებელი მონაწილეობა სასამართლოს მუშაობაში მიზნად ისახავს ამ ორგანოში სახალხო წარმომადგენლების მიერ ცხოვრებისეული გამოცდილების შემოტანასაც. კანონმდებელს გათვალისწინებული აქვს ისიც, რომ მსაჯულებმა სასამართლოში შეძენილი მართლშეგნება უნდა მიიტანონ იმ შრომით კოლექტივებამდე, რომლის წარმოგზავნილებიც არიან. არსებითად სახალხო მსაჯულები იგივე მოსამართლეები არიან, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ სასამართლოსა და საზოგადოებრიობას. ჩვენს სინამდვილეში ისინი სოციალურ კონტროლს უწევენ მართმსაჯულების განხორციელებას, რაც აჯანსაღებს სახელმწიფო აპარატის მუშაობას და რეალურად ადასტურებს კონსტიტუციაში ჩაწერილ დებულებას სახელმწიფო მმართველობაში მშრომელთა პრაქტიკული მონაწილეობის შესახებ.

დღეისათვის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო ცდილობს საფუძვლიანად შეისწავლოს, თუ რა გავლენას ახდენს სასამართლო ორგანოების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაზე სახალხო მსაჯულთა საქმიანობის ეფექტიანობა. გამოსაკვლევია აგრეთვე მსაჯულების გავლენა იმ შრომითი კოლექტივების სოციალურ გაკეთილშობილებაზე, საიდანაც ისინი იყვნენ არჩეული. ეს უაღრესად რთული და საინტერესო პრობლემებია, რომელთა გადაწყვეტაში უფრო აქტიური დახმარება უნდა გაგვიწიონ რესპუბლიკაში მომუშავე მეცნიერმა იურისტებმა, ფსიქოლოგებმა და სოციოლოგებმა.

მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება, რამაც დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს დამნაშავეობის შემცირებაზე, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მსაჯულთა საბჭოების უნარიან საქმიანობაზე, რომლებიც დღეს რესპუბლიკის ყველა სასამართლოშია შექმნილი. ამ მხრივ საინტერესო მუშაობას ეწევიან თბილისის კალინინის და პირველი მაისის, აგრეთვე ჭიათურის, სოხუმის რაიონის, ხაშურის, გარდაბნის, გურჯაანის და სხვა რაიონების სახალხო სასამართლოებთან არსებული მსაჯულთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. გაბისონიას ინიციატივით სახალხო მსაჯულებს აღსაზრდელად მიამაგრეს არასრულწლოვანი დამნაშავეები, რომლებსაც პირობითი სასჯელები აქვთ შეფარდებული. მსაჯულთა ანგარიშებს ამ მხრივ პერიოდულად ისმენს სახალხო სასამართლო.

დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ სახალხო მსაჯულებს სასამართლოს პროფილაქტიკური ღონისძიებების სრულყოფილად ჩატარებაში.

ამ მხრივ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით, მონდომებით ეკიდებიან საქმეს ხაშურის რაიონის სასამართლოს სახალხო მსაჯულები—ს. თომაძე და ლ. კიკნაძე, ლაგოდეხის რაიონის სასამართლოს სახალხო მსაჯული ი. პროხჩუკი, თბილისის კალინინის რაიონის სასამართლოს სახალხო მსაჯული ე. ხარბედია და სხვები, რომლებიც არა მარტო კარგი მსაჯულები, არამედ წარმოების მოწინავენიც არიან.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის 152 მუხლის შესაბამისად დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე მოსამართლეებთან ერთად სახალხო მსაჯულების მიერ თავიანთი საქმიანობის შესახებ ამომრჩეველებისათვის ანგარიშების ჩაბარებას. მაგალითად, ამას წინათ თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივის წინაშე საინტერესო ანგარიშებით წარსდგნენ ამ ქარხნიდან დაწინაურებული და ... ჩეული ლენინის რაიონის, სახალ... ხო მოსამართლე ბ. კუ...ტანი და სახალხო მსაჯული ნ. დარბაძე.

გაძლიერებული კონტროლი ეწევა აგრეთვე ყველა მსაჯულს მაქსიმალურ მონაწილეობას სამართლო ორგანოების მუშაობაში. არ უნდა იყოს შემთხვევები, რომ ამა თუ იმ მოსამართლესა... სისტემატურად მონაწილეობ... ერთი და იგივე მსაჯულები. სამართლოებს დავალებული აქვ... იქონიონ ყველა არჩეული მსაჯ... ლის სასამართლოში მონაწილეობის ზუსტი გრაფიკი 14 სამუშაო დღის ხანგრძლივობით, რაც წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული შესაბამის რაიონმასკომებთან უწყებების ხელმძღვანელებთან.

ამ წესს ზოგჯერ არღვევენ თბილისის ორჯონიკიძის, ლენინის, მცხეთის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ქარელის და ზოგიერთი სხვა რაიონის სახალხო სასამართლოებ... ასეთ დროს ყოველთვის პრინციპული განხილვის საგნად უნ... იქცეს ისეთი ცალკეული შემთ... ვევებიც, როცა ესა თუ ის საკ... ურნეო ხელმძღვანელი სხვადასხვ... ვა უწყებრივი ინტერესების მიზეზებით არ უქმნის პირობებ... სახალხო მსაჯულს გრაფიკით გ... თვალისწინებულ ვადაში სასამ... თლოში მონაწილეობის მისაღ... ბად.

ყველა ეს საკითხი წარმატებ... წყდება იმ სასამართლოში, სად... მაღალ დონეზეა სასამართლ... ორგანიზაციული მუშაობა. დ... მნიშვნელობა აქვს მოსამართ... პირადი ქცევის კულტურას, ... წყობას, რომელსაც იჯ... სასამართლო სხდომაზე, თუ სა... თბირო ოთახში განაჩენის ... გადაწყვეტილების გამოტანისას.

ამჟამად იუსტიციის სამინის... რო ამუშავებს დამატებით ღონ... სძიებებს, რომელთა მიზანია მ... ჯულთა საბჭოების საქმიანობ... ფორმებისა და მეთოდების ... ვეწა სასამართლოს პროფილ... ტიკური მუშაობის გაუმჯობესებ... სათვის. მსაჯულთა საბჭოების ... ნაშე ახალი პასუხსაგები ამოცა... ნები დგება გაფლანგვა-დატაცებ... ბით სახელმწიფოსათვის მიყენ... ბული ზარალის სრულად ანაზღ... ურების, ალიმენტების გადახდ... ვინების წესის ზუსტად დაცვ... სასამართლოს მიერ პირობ... მსჯავრდადებულ არასრულწლ... ვანებთან მუშაობის ხაზით, ... შიც რესპუბლიკის სასამართ... პრაქტიკა ჯერ კიდევ ვერ ... სათანადო სიმაღლეზე.

კონსტიტუციურ მოთხოვნ... შესაბამისად სახალხო მსაჯულ... ბის მიერ თავიანთი მოვალეობ... ბის მაღალხარისხოვნად შესრ... ულებას დიდი მნიშვნელობა აქ... დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრ... ლის გაძლიერებისა და რესპ... ლიკის სასამართლოებში სანინ... შო საზოგადოებრივი წესრიგ... დამკვიდრებისათვის.

ა. აბესა...

საქართველოს სსრ იუსტ... ციის მინისტრის მოადგილ...

საყურადღებო გამოკვლევა

განვითარებული სოციალიზმის პირობებში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების და საქმიანობის ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება.

სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამ ისტორიული მნიშვნელობის ამოცანების გადაწყვეტის საქმეში უდიდესი როლი ენიჭება საბჭოთა ვაჭრობის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას. საქონლმიმოქცევის ძირითადი საკვანძო საკითხების თეორიული განზოგადება, ამ სფეროში არსებული ნაკლოვანებებისა და სიძნელეების შესწავლა და კონკრეტული ხასიათის წინადადებების შემუშავება დარგის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ მიმართულებით მრავალი წლის მანძილზე ღრმა და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკის კათედრა. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს მონოგრაფიული გამოკვლევა: „საქართველოს სსრ ვაჭრობის ორგანიზაციისა და დაგეგმვის აქტუალური საკითხები“. მონოგრაფიის ავტორები არიან ვაჭრობისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკის კათედრის პროფესორ-მასწავლებლები. მის შესრულებაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის შესწავლის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ცენტრალური ლაბორატორიის, საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის — „ცეკავშირის“ მეცნიერამ მუშაკებმა. ნაშრომი შესრულებულია პროფესორ მ. ღაღანაძის საერთო რედაქციით (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978 წელი).

შრომის აქტუალობა კიდევ უფრო იზრდება იმიტომ, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის ორგანიზაციისა და დაგეგმვის საკითხების მსგავსი კომპლექსური გამოკვლევა დღემდე არ განხორციელებულა.

სარეცენზიო მონოგრაფიაში კომპლექსურად არის გაანალიზებული რესპუბლიკის ვაჭრობაში არსებული მდგომარეობა, მეცნიერულად არის განზოგადებული ვაჭრობის ორგანიზაციისა და დაგეგმვის სრულყოფის საკითხები, დარგის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზები.

გამოკვლევის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მასში სრულფასოვნად აისახა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის მიერ დასმული პრობლემები ვაჭრობის სფეროში.

შრომაში, რომლის ავტორები არიან: ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი შ. ივანიშვილი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ვ. გორგილაძე, დოცენ

საქართველოს სოვრეჯა

ირანი: ბრძოლა გრძელდება

ნიუ-იორკი, 5 იანვარი. (საკ-დესი). ცნობილი ხდება სულ ახალი მონაცემები იმის შესახებ, **რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ ცდილობს ჩაერიოს შინაურ პროცესებში, რომლებიც ირანში მიმდინარეობს.** როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები და პრესა აღნიშნავენ, **შეერთებული შტატების ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ირანის კრიზისის ნებისმიერი დამთავრების შემთხვევაში, უზრუნველყოს „თავისი განსაკუთრებული სამხედრო - სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესები“ ამ რაიონში.**

ოფიციალური „განმარტებანი“, რომლებითაც უარყოფენ ხმებს სპარსეთის ყურეში ამერიკის სამხედრო ხომალდების გაგზავნის შესახებ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული აღმოჩნდა. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდების რაზმი უკვე დადის ირანის ნაპირებთან, როგორც იმის დემონსტრაცია, რომ ამერიკელებს გადაწყვეტილი აქვთ არ მოაკლონ ამ ქვეყანას თავისი მეურვეობა. ამავე დროს იქ მყოფი ამერიკელების უშიშროებისათვის ზრუნვის საბაბით ირანში გაიგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების ბევრი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი. სულ რამდენიმე დღის წინათ კი, როგორც ამერიკის პრესა იუწყებოდა, ამერიკის ჩაიყვანეს ამერიკის შეერთებული შტატებიდან „სპეციალისტთა“ ახალი ჯგუფები, რომლებისთვისაც საჭიროა დაცვა. მერე საჭირო გახდება ამ მცველების დაცვა — და ასე, დიდი ხანია შემოშავებული სქემით, ძლიერდება ჩარევა, რომელიც მხოლოდ ართულებს ირანის პრობლემებს.

ამერიკელებს თვითონ არც თუ ძალიან სჯერათ თავიანთი „პოლიტიკური არგუმენტების“ დამარწმუნებლობა და ეძებენ მოქმედების სხვა ვარიანტებს. როგორც გაზეთი **„ვაშინგტონ პოსტი“** იუწყება, ირანის საკითხთა სპეციალისტები კარტერის ადმინისტრაციაში, მათ შორის ამერიკის თეირანის საელჩოს თანამშრომლნი, გადაჭრით ურჩევენ თეთრ სახლს ხელი აიღოს შაჰის სრულ მხარდაჭერაზე. საქმე ეხება ირანში სამხედრო დიქტატურის დამყარების გეგმებს, როცა სახელმწიფოს ნომინალურ მეთაურად შაჰს დატოვებენ ან, თუ საჭიროება მოითხოვს, მოლიანად ჩამოართმევენ ხელისუფლებას.

პარიზი, 5 იანვარი, (საკდესი). **როგორც საზღვარგარეთელი კორესპონდენტები იუწყებიან, დემონსტრაციები შაჰის რეჟიმისა და ირანის საქმეებში ამერიკელთა ჩარევის წინააღმდეგ გრძელდება.**

> □ ამერიკის ჩარევის ცდები □ გენერალი ოვეისი შეერთებულ შტატებში გაემგზავრა □ არმიაში უკმაყოფილება იზრდება □ ისრაელი ტექნიკოსები ირანში.

როგორც მეშპედიდან ჩამოსული თვითმხილველები აღასტურებენ, სამხედრო ხელისუფლებმა დემონსტრანტთა წინააღმდეგ მძიმე ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები გამოიყენეს.

ირანის ოპოზიციის რუპორი ჟურნალი **„ნიუსუიკი“** იუწყება, რომ ყაზვინის ქუჩებში ჯარები ავტომატებით ხოცავდნენ ადამიანებს, თავს დაესხნენ ორ საავადმყოფოს და ამოჟლიტეს დემონსტრაციების დროს ყველა დაჭრილი პირი. „არმიამ ქალაქი ხელთ იგდო ინგლისური ტანკების „ჩიფტენის“ საშუალებით, ჯარისკაცებმა ცეცხლი წაუკიდეს სატვირთო მანქანებს, მსუბუქ ავტომობილებს, აგრეთვე დუქნებსა და მაღაზიებს, ცეცხლში ყრიდნენ უმწეო ადამიანებს, დაჭრილებს“, — წერს „ნიუსუიკი“.

სახლების კედლებზე სულ უფრო ხშირად ჩნდება მოწოდებანი უშუალოდ ჯარისკაცებისადმი. „არმიავ, — ნათქვამია ერთ-ერთი კედლის ლოზუნგში, — შენ უნდა იყო სახალხო და არა ამერიკული“. „არავითარი ვაჭრობა და კომპრომისი გენერლებთან“, — ხაზგასმულია მეორეში.

ოფიციალურად გამოცხადდა, რომ სახმელეთო ჯარების სარდალი და თეირანის სამხედრო ადმინისტრაციის მეთაური გენერალი ოვეისი შაჰის თანხმობით თვენახევრით გაემგზავრა „სამკურნალოდ“ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ხელისუფლებამ უგულებელყოფა ცნობები მისი გადადგომის, აგრეთვე ორი სხვა გენერლის გადადგომის შესახებ. უცხოელი კორესპონდენტები გამოთქვამენ აზრს, რომ ოვეისის გამგზავრება დაკავშირებულია შ. ბახტიარის „სამოქალაქო მთავრობის“ შექმნასთან, რომელსაც შაჰმა, ამერიკის შეერთებული შტატების რჩევით, პრემიერის ფუნქციები დააკისრა ომიმედით, რომ იგი, როგორც ოპოზიციური ეროვნული ფრონტის ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელი, შეძლებს ბოლო მოუღოს ქვეყანაში ხალხის ახლანდელ გამოსვლებს. თუ შაჰის საწინააღმდეგო დემონსტრაციები და გაფიცვები გაგრძელდება, პირველ პლანზე კვლავ დადგებიან სამხედროები, და გამორიცხული არ არის, რომ გენერალი ოვეისი, რომელსაც ფრანგული გაზეთი „ფიგარო“ „ირანელ პინოჩეტს“, დემონსტრანტთა სასტიკი დასჯის მომხრეს უწოდებს, ირანში დაბრუნდება როგორც სამხედრო ხუნტის მეთაური.

ნიუ-იორკი, 5 იანვარი. (საკდესი). **„ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახლა მთელ ძალებს იმას ახმარს, რომ შეინარჩუნოს ერთიანობა ირანის შეიარაღებულ ძალებში და უზრუნველყოს მათ მიერ ბახტიარის სამოქალაქო მთავრობის მხარდაჭერა“,** — წერს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმომხილველი დ. რესტონი. სწორედ ამიტომ, აღნიშნავს იგი, „კარტერმა თეირანში გაგზავნა გენერალი რ. ჰაიზერი ირანის ოფიციალური კორპუსის რიგებში გათიშვის თავიდან აცილების იმედით“. დ. რესტონი აღნიშნავს, რომ „მომავალში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდების ჯგუფის გაგზავნა სპარსეთის ყურეში დიად რჩება“.

ბონი, 5 იანვარი. (საკდესი). **ჟურნალი „შტერნი“ ბეჭდავს რეპორტაჟს, რომელშიც ლაპარაკია ირანის მდგომარეობის შესახებ.** „ცნობილია შემთხვევა, როცა ასმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა უარი თქვა შეესრულებინა სამხედრო მთავრობის ბრძანება დემონსტრაციის მონაწილე თანამოაზრეებისა და ერომორწუნეების წინააღმდეგ გამოსულიყვნენ იარაღით, — აღნიშნავს ჟურნალი. — ეს არის დეზერტირობის დასაწყისი.

„შტერნი“ წერს, რომ ირანის არმიაში ანტიამერიკული განწყობილება სუფევს. „ირანის არმიის ოფიცრები უკმაყოფილ არიან ამერიკელ მოკავშირეთა გაელენითა და ქედმაღლობით. ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო მომზადების ცენტრში ამერიკელები მექანიზებულნენ როგორც მეორეხარისხოვან ადამიანს“,— განუცხადა „შტერნის“ კორესპონდენტს ერთმა ყოფილმა პილოტმა.

როგორც ჟურნალი აღნიშნავს, ირანის სამხედრო-საჰაერო ძალებში მუშაობს ბევრი ისრაელი, რომლებიც არემონტებენ და სინჯავენ სამხედრო თვითმფრინავებს. თეირანის აეროპორტიდან ყოველდღიურად მიფრინავს ისრაელის „ელ-ალის“ კომპანიის სამ-სამი თვითმფრინავი, რომლებიც გაჰქედილია ტელ-ავივში მიმავალი ებრაელებით. მათ ნაცვლად ჯდებიან „ელ-ალის“ სხვა თვითმფრინავები, რომლებშიც ყველა ადგილი ისრაელის არმიის ტექნიკოსებს უკავიათ.

კამპუჩიის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, რესპუბლიკის განთავისუფლებულ რაიონებში ეწყობა მოსახლეობისა და რევოლუციური არმიის მეომრების მასობრივი მიტინგები. მიტინგების მონაწილენი მხარს უჭერენ კამპუჩიის ეროვნული ხსნის ერთიანი ფრონტის ცენტრალური კომიტეტის დეკლარაციას.

სურათზე: განთავისუფლებული რაიონის მცხოვრებლები მიდიან მიტინგზე.

სპკ-საკდესის ფოტო.

შეხვედრა გვადელუპის კუნძულზე

სენ-ფრანსუა (გვადელუპა). 5 იანვარი. (საკდესი). **დღეს კარიბის ზღვის გვადელუპის კუნძულზე იწყება დასავლეთის ოთხი ქვეყნის ხელმძღვანელთა არაოფიციალური შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კარტერი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჯ. კალაგენი, საფრანგეთის პრეზიდენტი ვ. ჟისკარ დესტენი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ჰ. შმიდტი.**

როგორც თვლიან, შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობას. და, უწინარეს ყოვლისა, პრობლემებს, რომლებიც სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახალი შეთანხმების დადებას უკავშირდება. დიდი კამათია მოსალოდნელი ნატოსთან და ამ ბლოკის წევრი ქვეყნების სამხედრო ხარჯებთან დაკავშირებული პრობლემების გამო. როგორც ცნობილია, პენტაგონი სულ უფრო ძლიერ ზეგავლენას ახდენს ნატოელ მოკავშირეებზე, აიძულებს მათ დაჰჩარონ საომარი სამზადისი.

აღიძვრება ჩინეთთან დასავლეთის ქვეყნების ურთიერთობის საკითხიც, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს. როგორც გაზეთ **„ვაშინგტონ პოსტის“** კორესპონდენტი დ. ჰოგლენდი წერს, „დასავლეთი გერმანია, ალბათ, დაჟინებით მოითხოვს, რომ ვაშინგტონმა დეტალურად განმარტოს, თუ რატომ ჩქარობს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას“. კორესპონდენტის აზრით, ბონი გააკრიტიკებს შეერთებულ შტატებს იმისათვის, რომ იგი „აქეზებს ბრიტანეთსა და საფრანგეთს იარაღი მიჰყიდონ ჩინეთს, მით უმეტეს, რომ ეს გაართულებს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობას სსრ კავშირთან.

პლანეტის „ცხელი“ წერტილების მდგომარეობის გამო დისკუსია უწინარეს ყოვლისა შეეხება სპარსეთის ყურის, და კერძოდ, ირანის ვითარებას.

შეერთებულ შტატებს იმედი აქვს, რომ მისი პარტნიორები მხარს დაუჭერენ ნათობით მდიდარი ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის ამერიკის პოლიტიკას. **„ვაშინგტონ პოსტის“** აზრით ჯ. კარტერი განაცხადებს, „კვლავაც სავსებით დავუჭიროთ მხარი შაჰს“.

გვადელუპის შეხვედრა, პრესის აზრით, „ოთხეულის“ სხვა ნატოელი პარტნიორების სერიოზულ შეშფოთებასაც გამოიწვევს. ინგლისური **„დეილი ტელეგრაფი“** ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ „ბელგიელები და ჰოლანდიელები, იტალიელები და დანიელები შიშობენ, მათ ზურგს უკან არ მიიღონ დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიული გადაწყვეტილებები“. როგორც **„პარიზიენ ლიბერე“** წერს, იაპონია, იტალია და კანადა შეშფოთებული არიან იმის გამო, რომ შეხვედრაზე შეიძლება მიიღონ „მათთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილებანი“.

დასავლეთის პრესა აფასებს გვადელუპის თათბირის მოსალოდნელ შედეგებს დაუფარავ მალავს თავის დიდ პესიმიზმს. „ოთხი ქვეყნის. ერთობლივი მოქმედების ამასწინანდელი ამბავი, — წერს სარედაქციო სტატიაში **„ვაშინგტონ პოსტი“**, — შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. ოთხთაგან არც ერთი არ იჩენს განსაკუთრებულ მიდრეკილებას დათმოს რაიმე რომლიმე საერთო მიზნის გულისათვის“. დასავლეთ გერმანიის დპა-ს სააგენტო ხაზს უსვამს „სერიოზულ უთანხმოებებს მონაწილეთა შორის თათბირის მიზნების შეფასებაშიც კი“. „სასწაული იქნება, თუ გვადელუპის შეხვედრა არ შემოიფარგლება ზოგად თემებზე საუბრით“, — წერს ინგლისური **„დეილი ტელეგრაფი“**. ფრანგული **„მატენის“** აზრით, დასავლეთი ლიდერების მიერ წაია თათბირებზე მიღებული მოსავლისდმიქმელი დ ე კ ლ ა რ ა ც ი ე ბ ი შემოწმებისას მხოლოდ „ლიტონი, ყალბი დაპირებანი“ გამოდგა.

6 იანვარი

კოსმოსში თანამშრომლობისათვის

ვაშინგტონი. კოსმოსური სივრცის კვლევაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის თანამშრომლობის გაფართოება ხელს შეუწყობდა ორი ქვეყნის მეცნიერულ - ტექნიკური პოტენციალის უფრო ეფექტიანად გამოყენებას მინიმალური დანახარჯებით ოპტიმალური მეცნიერული შედეგების მისაღებად, — ნათქვამია მოხსენებაში „პლანეტების კვლევის სტრატეგია 1977-87 წლებისათვის“, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულმა მეცნიერებათა აკადემიამ გამოაქვეყნა.

მოხსენების ავტორების წინადადებაა მოგვარდეს ამერიკა-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა ვენერასა და მთვარის შესწავლაში, რომლის კვლევის პროცესში ორივე ქვეყანამ შეიმუშავა „ერომანეთის შემსვლები ტექნიკური საშუალებანი“.

განთავისუფლებულია ექვსი პროვინცია

ჰანოი. როგორც კამპუჩიის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რევოლუციური შეიარაღებული ძალები კვლავ ათავისუფლებენ კამპუჩიის ტერიტორიას პოლ პოტის — იენგ სარის რეაქციული რეჟიმის კონტროლისაგან. იერიშის შედეგად, რომელიც პატრიოტებმა მიიტანეს 8 იანვარს მონდოლკირის პროვინციის ქალაქ კანნიეზზე, რეაქციული ბროვის ჯარების წინააღმდეგობა გატეხა და ქალაქი განთავისუფლებულია.

კამპუჩიის საინფორმაციო სააგენტოს ცნობაში ნათქვამია, რომ კანნიეზისა და ვაირიენგის განთავისუფლების შედეგად განთავისუფლებული რაიონები უკვე მოიცავს კამპუჩიის ექვს აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციას.

ყოველი მხრიდან

ჩინეთი მხარს უჭერს

ბანგკოკი. როგორც პეკინის რადიო იტყობინება, დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე დენ სიაო პინი შეხვდა ამერიკელ ჟურნალისტთა ჯგუფს. მან უპასუხა შეკითხვებზე კამპუჩიის მდგომარეობის შესახებ და პირდაპირ განაცხადა, რომ ჩინეთი პოლ პოტის დიქტატორულ რეჟიმს „სხვადასხვა ფორმის მატერიალურ დახმარებას უწევს“.

ახალი პროვოკაცია

ბეირუთი. ისრაელის მხედრიონმა ახალი პროვოკაცია ჩაიდინა სამხრეთ ლიბანში, ისრაელის თვითმფრინავები ხშირად არღვევდნენ ქვეყნის საჰაერო სივრცეს და მცირე სიმაღლეზე დაფრინავდნენ სამხრეთ ლიბანის მთელ ტერიტორიაზე. აგრესორები განდევნეს საზენიტო არტილერიის ცეცხლით. ამავე დროს ისრაელის რამდენიმე სამხედრო ხომალდი შეიჭრა ლიბანის ტერიტორიულ წყლებში ქალაქ ტირის მახლობლად. ისრაელის სამხედრო კატარღები მიმოდიოდნენ სამხრეთ ლიბანის სანაპიროს გასწვრივ.

ლიკვიდირებულია კონტრრევოლუციური ჯგუფი

ადის-აბება. ვოლოს პროვინციაში ამასწინანდელი ოპერაციების დროს სახალხო მილიციის რაზმებისა და უშიშროების ორგანოების მიერ ლიკვიდირებულია რამდენიმე კონტრრევოლუციური ჯგუფი. ბევრი მათი წევრი ტყვედ ჩაიგდეს. აღმოჩენილია იარაღის, სამარი მასალისა და ძირგამომთხრელი ლიტერატურის დიდი საწყობები.

იანკებო, გაეცალეთ იაპონიას!

ტოკიო. ქალაქის მუნიციპალურმა კრებამ მოითხოვა ამერიკის სამხედრო ბაზის დაუყოვნებლივი ლიკვიდაცია ქალაქ ნაგოს (ოკინავის პრეფექტურა) მიდამოებში. ბაზის საქმიანობის წინააღმდეგ ერთხმად მიღებული საპროტესტო რეზოლუცია გაეგზავნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის მთავრობებს.

სპორტი

საქართველოს მსოფლიო ორბიტაზე

კონტაქტები და თანამშრომლობა

ინტეგრაციის საფუძველზე

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფირმის „ტექსტიმის“ საჩეჩი მანქანა ამუშავდა თბილისის ჯამეოლსართავ ფაბრიკაში. ეს მანქანები მაღალხარისხოვანი ნაჩეჩის ბოჭკოს უშვებენ და უხმაუროდ მუშაობენ. ავტომატიკა კონტროლს უწევს ლენტის წყვეტასა და კვანძების მუშაობას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოწყობილობას იყენებენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ცხაკაიის ხალჩის კომბინატის გამოსაყვან საამქროში, მაგალითად, დადგეს „ტექსტიმი“ საკრეში მანქანები. ამით 30 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გაუჯობესდა პროდუქციის გარეგნული ერსახეც. ზუგდიდის ჩაის საწნახ ფაბრიკაში დაამონტაჟეს ფირმა „ნაგემის“ ავტომატები, რომლებიც 50 და 100-გრამიან შეკვრა ჩაის უშვებენ.

საქართველო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას უგზავნის სატუმბავ საკომპრესორო მილებს, ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოებს, ლითონსაჭრელ ჩარხებს, ელექტრომშესადაღებელ მოწყობილობას, ჩაის, კონიაკს.

მშვიდობა და პროგრესი

საქართველო ფართოდ წარმოდგება საბჭოთა კავშირის ერთიანულ გამოფენაზე ლონდონში, რომელიც მოეწყობა დევიზით „მშვიდობა და პროგრესი თანამშრომლობის გზით“. გამოფენა გაიხსნება მიმდინარე წლის მაისის დამლეგს.

რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ოყროშიძემ გვითხრა, რომ საქართველოს განყოფილების ექსპოზიცია გამოფენის მნახველებს გააცნობს ქართველი ხალხის მიღწევებს ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის დარგში, რომლებიც მან მოიპოვა საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში სკკპ ლენინური ერთიანული პოლიტიკის განხორციელების შედეგად.

კულტურული ურთიერთობა

განხორციელდა სანუკვარი ოცნება

36 ასპირანტი, სტაჟიორი, სტუდენტი ბულგარეთიდან, ვიეტნამიდან, პოლონეთიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, კანადიდან, ჰერუდან, იემენიდან — სულ თოთხმეტი ქვეყნიდან მიიღო წელს თბილისის უნივერსიტეტმა.

— მე ზოგადი ენათმეცნიერების კათედრაზე ვმუშაობ, — თქვა ნგო ნი ბინმა, პირველი ასპირანტი ვარ სოციალისტური ვიეტნამიდან. სულ ერთი თვეა სტუმრათმოყვარე თბილისში ვიმყოფები. ძალიან გულთბილად მიმიღეს და ყველა პირობა შეიმქმნეს, რათა გავიმდიდრო ცოდნა. მოხარული ვარ, რომ შევძლებ ძიებაზეო მიზანს თბილისის უნივერსიტეტში, რომელიც საბჭოთის ერთ-ერთი დიდი სამეცნიერო ცენტრია.

პრემიერა საარბრიუკენში

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი ცისანა ტატიშვილი ახალ წელს ქალაქ საარბრიუკენში შეხვდა. იგი ადგილობრივ თეატრში ვაგნერის ოპერის „მფრინავი ჰოლანდიელის“ პრემიერაში მონაწილეობდა და ასრულებდა სენტას პარტიას. ეს პარტია მან პირველად შეასრულა თბილისში, სპექტაკლში, რომელიც დადგა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რეჟისორმა გერჰან ვედეკინდმა.

მომღერალი ხშირად მოგზაურობს საგასტროლოდ. მან რამდენიმე სეზონში მიიღო მონაწილეობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელგანთქმული „კომიშე ოპერის“ სცენაზე.

უცხოეთის პრესის ფურცლებზე

„ნოიეს დოიჩლანდი“ ქართული ფოლკლორის შესახებ

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოში გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდში“ გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ მოსკოვის გამომცემლობა „პროგრესმა“ გერმანელი მკითხველებისათვის გამოსცა ქართული ხალხური ზღაპრების კრებული. კრებულში თავმოყრილია ქართული ფოლკლორის ორმოცდაათი ნაწარმოები — „სამი და“, „ოსტატი და შეგირდი“, „უმცროსი ძმა“, „ლომი და კურდღელი“ და სხვ.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ქართული ზღაპრები, ისევე როგორც გერმანელი ხალხისა, ასახავენ მათ შორის არსებულ ფართო კონტაქტებს. მათ, მიუხედავად ეროვნული თავისებურებებისა, ახასიათებს ბევრი საერთო არსებითი ნიშნები. ამიტომ ქართული ზღაპრების ბევრი მოტივი და გმირებიც კი გერმანელ მკითხველს ნაცნობად მოეჩვენება.

ჩვენი კალენდარი

ისტორიის ეროვნული ბიბლიოთეკა

აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის დაბადების მე-60 წლისთავის გამო

მესაიდუმლე

1978 წლის 30 დეკემბერს 60 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ საბჭოთა ისტორიკოს-აღმოსავლეთმცოდნეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ლენინური და ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორს გიორგი ალექსანდრეს ძე მელიქიშვილს.

გიორგი მელიქიშვილმა უკვე ახალგაზრდობის წლებში — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე სწავლისას (1935-1939 წლები) გამოიჩინა დაუოკებელი ინტერესი ძველი და ფეოდალური ისტორიის პრობლემების შესწავლისადმი. გ. მელიქიშვილის ნაშრომი „ეროვნული ინტერესი“ — ეს ... ...

ᲬᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲢᲐᲚᲐᲜᲢᲘ

ᲛᲔᲓᲒᲝᲒᲠᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ მოვალეობად მიმაჩნია, საზოგადოებრიობას გავახსენო და გავაცნო უბრალო, შრომისმოყვარე და საინტერესო თანამემამულე, რომელიც ქალაქ თელავში ცხოვრობდა და ხუთ ათეულ წელზე მეტი სიყვარულითა და გატაცებით ემსახურა ხალხს, სამშობლო ქვეყანას...

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი ტორი (ისაკ იოსების ძე ტერტერაშვილი) პროფესიით ფოტოხელოვანი იყო. მის მიერ გემოვნებით გადაღებული ფოტოსურათები სისტემატურად ქვეყნდებოდა საკავშირო და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. მან შეძლო თავისი მოღვაწეობის პერიოდში შემოენახა უნიკალური ფოტოები ოფერო ადრი ტორს ჰქონდა ბედნიერება თელავში შეხვედროდა, ახლოს გასცნობოდა და დაახლოებოდა ქართული თეატრალური ხელოვნების კორიფეებს — ლადო მესხიშვილს, ვალერიან გუნიას, ელისაბედ ჩერქეზიშვილს, ვასო აბაშიძეს...

ბევრჯერ მქონია საუბარი ცნობილ ადამიანებთან ტორის შესახებ:

პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი: „ტორი გულწრფელი ადამიანია. უყვარს ხელოვნება, პოეზია, სცენა. ენერგიის დაუზოგავად, გატაცებით, დიდი ენთუზიაზმით ემსახურება ხალხს და აკი მასაც სათანადოდ აფასებენ...“

სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვასო გოძიაშვილი: „არასდროს არ დამავიწყდება მისი გულწყრომოწოლილიყვნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ეასო გოძიაშვილი, შალვა დადიანი, პეერ კობახიძე და მოსკოველი სტუმრები...

თელავის სახელმწიფო თეატრის მაშინდელმა დირექტორმა, პლატონ ახვლედიანმა და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ალექსანდრე მიქელაძემ პატივსაცემი სტუმრების სასტუმროში მიყვანა განიზრახეს, მაგრამ ტორიმ კატეგორიული უარი განაცხადა, ყველანი თავის ოჯახში მიიწვია...

თელაველებმა იმავე დღეს, ელვის სისწრაფით შეიტყეს სასურველი სტუმრების მშობლიურ ქალაქში ჩამოსვლის ამბავი და მოუთმენლად ელოდნენ მათთან შეხვედრას, კონცერტს.

...მეორე დღეს, ადრიანად ნატო და მისი შეგობრები ქალაქის დასათვალიერებლად იყვნენ წასული, ტორის ოჯახი კი გაშლილი სუფრით მოუთმენლად ელოდა მათ... მალე ისინიც გამოჩნდნენ. წინ ულამაზესი ნატო მოდიოდა, ხელში მაგნოლია ეკავა... ტორიმ შენიშნა თუ არა ნატო, მაშინვე ფოტოაპარატი მოიმარჯვა, გზად მიეგება და შესძახა:

— ქალბატონო ნატო, შეჩერდით!

სწორედ ეს სურათია, ხალხში რომ ასე გავრცელდა და ყველას მოსწონს. სწორედ ტორიმ შემოგვინახა ნატო ვაჩნაძის საოცრად კეთილშობილი, ,ქმაყოფილებით აღსავსე გაუმეორებელი ნათელი სახე...

ასევე, შენი ხალხის, შენი ქვეყნის ჭეშმარიტი სიყვარულით გაწეული თუნდაც მცირეოდენი შრომის კეთილი კვალი არასდეს წაიშლება...

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲞᲐᲞᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

□

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ი. ტორის ფოტოები — გოგლა ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე და მიხეილ შოლოხვი; ნატო ვაჩნაძე მაგნოლიით; პაპა და შვილიშვილი.

ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). ძმური მეგობრობა აქვთ ორი ქალაქის— ტყიბულისა და ტყვარჩელის შრომითის კოლექტივებს. მეშახტეთა წარმომადგენლები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, უზიარებენ თავიანთ შრომითს გამოცდილებას. ამჯერად ერთმანეთს შეხვედნენ საზოგადოებრივი კვების ქსელის მუშაკები.

ათ დღეს იმყოფებოდა ტყვარჩელში მზარეულებისა და ოფიციანტებისაგან შემდგარი ბრიგადა. კვების დარგის ტყიბულელი ოსტატები გემრიელი, ეროვნული კერძებით გაუმასპინძლდნენ ქალაქის მშრომელებს.

ამის შემდეგ ტყიბულელებმა სტუმრად აფხაზი კოლეგები მოიწვიეს. რესტორან „ტყიბულში“ ერთი დეკადის განმავლობაში შეჰდინარეობდა აფხაზური კერძებისა და სანიმუშო სავაჭრო მომსახურების დემონსტრირება.

კვების მუშაკთა ბრიგადების ასეთი გაცვლა მეტად სასარგებლო აღმოჩნდა.

ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐᲕᲡ ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘ

□

ᲕᲘᲡ ᲔᲠᲒᲔᲑᲐ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲔᲜᲡᲘᲐ

რა დამსახურებისათვის ენიშნებათ ადამიანებს პერსონალური პენსია? ვინ უნდა აღმიძრას შუამდგომლობა, ეს პენსია რომ დამენიშნოს? გთხოვთ, გაზეთის საშუალებით მიპასუხოთ.

Თ. ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ,
ᲑᲐᲗᲣᲛᲘ.

ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ პენსია მოქალაქეთა მატერიალური უზრუნველყოფის ერთ-ერთი სახეა. ის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 20 ივლისის № 667 დადგენილების საფუძველზე დაენიშნებათ მოქალაქეებს, რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე რევოლუციურ მოძრაობაში, სახელმწიფო, საზოგადოებრივ, სამეურნეო საქმიანობაში, ან ვისაც განსაკუთრებული დამსახურება აქვს კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების განვითარებაში.

პერსონალური პენსიები დაენიშნებათ აგრეთვე პენსიონერის სიკვდილის შემთხვევაში მათ ,მაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებს.

პერსონალური პენსია სამი სახის არის. საკავშირო მნიშვნელობისა—250 მანეთამდე—ენიშნებათ იმ პირებს, რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით სსრ კავშირის წინაშე. რესპუბლიკური მნიშვნელობისა — 150 მანეთამდე — რესპუბლიკის წინაშე საგანგებო დამსახურებისათვის, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობისა — 110 მანეთამდე — ადგილობრივი მნიშვნელობის განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

პერსონალური პენსია დაენიშნებათ იმ პირებს, რომლებმაც მიაღწიეს: მამაკაცებმა 60-წლის ასაკს, ხოლო ქალებმა 55-წლის ასაკს; ან, მიუხედავად ასაკისა, თუ ისინი ინვალიდები არიან.

პერსონალური პენსიის ოდენობას ყველა კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სახელმწიფო საპენსიო ორგანო. პერსონალური პენსიის დასანიშნავად შუამდგომლობას აღძრავენ პარტიული საბჭოთა, სახელმწიფო და პროფკავშირული ორგანიზაციები.

პერსონალური პენსიის დამნიშნელი ორგანოების გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება, თუმცა პენსიის დამნიშნელ ორგანოს შემდგომში ახალი გარემოების შემთხვევაში შეუძლია გადასინჯოს თავისი დადგენილება.

პერსონალურ პენსიონერს უფლება აქვს იმუშაოს და მიიღოს პენსიაც და ხელფასიც, ოღონდ არა უმეტეს 350 მანეთისა. თუ ხელფასი და პენსია ერთად 350 მანეთს აღემატება, შესაბამისად შემცირდება პენსიის ოდენობა.

თუ პენსიონერს თავისივე მიზეზით პენსიის მიღება დაეგვიანდა, მას აუნაზღაურდება წარსულის პენსია სამი წლის ხანდაზმულობით. ხოლო, თუ პენსიის გაცემა დაგვიანდა საპენსიო ორგანოების ბრალით, გაუცემელი პენსია ანაზღაურდება მთლიანად, მიუხედავად ხანდაზმულობისა.

პერსონალურ პენსიონერებს შემდეგი სახის შეღავათები ენიჭებათ: ისინი იხდიან კომუნალური მომსახურების თანხის ნახევარს, რეცეპტით გასაცემი წამლის ღირებულების მეხუთედს, არ იხდიან ზედმეტ საფასურს კანონით დაწესებული ნორმის ზევით ბინის ფართობზე, უფასოდ სარგებლობენ ქალაქის ტრანსპორტით, წელიწადში ერთხელ უფასოდ მგზავრობენ მატარებლით. ასევე უფასოდ ღებულობენ სანატორიუმის 1 საგზურს ან მის ღირებულებას — 100 მანეთს და სხვა.

Გ. ᲘᲝᲡᲔᲑᲐ,
საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული კონსულტაციის განყოფილების უფროსი.

Ვ. ᲜᲘᲙᲣᲠᲐᲫᲔ,
კონსულტანტი.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲙᲣᲚᲐ ᲓᲐᲐᲙᲚᲓᲐ

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ქალაქ ჰაგაში დამთავრდა ევროპის პირველობა ჭაბუკთა შორის. პირველი ადგილი და ჩემპიონის ტიტული მოიცოვა ტურნირის მასპინძელმა ვან დერ ვილმა, რომელმაც 11 ქულა დააგროვა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა მოსკოველი სერგი დოლმატოვი.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ბელგრადის გაზეთი „პოლიტიკა“ იუწყება, 3-20 მარტს ბელგრადში გაიმართება ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელიც ქალთა საერთაშორისო დღეს ეძღვნება.

აი, ამ პოპულარული საერთაშორისო ტურნირის შემადგენლობა: მსოფლიო ჩემპიონი მ. ჩიბურდანიძე, დიდოსტატები ნ. ალექსანდრია (ორივე საბჭოთა კავშირიდან), ჟ. ვერეცი (უნგრეთი), ტ. ლემაჩკო (ბულგარეთი), მ. ლაზარევიჩი (იუგოსლავია), საერთაშორისო ოსტატები გ. მარკოვიჩი, გ. კონარკოვსკა-სოკოლოვა, ა. პიხაილიჩი, ვ. მაჩეკი (ყველა იუგოსლავიიდან), ოსტატები გ. ფიშდაკი (გფრ) და ბ. შტადლერი (ცნობილი იუგოსლავი დიდოსტატის ტ. შტადლერის ქალიშვილი). უკანასკნელი, მეთორმეტე ადგილი დაეთმობა სპეციალურ შესარჩევ ტურნირში გამარჯვებულს. ეს შეჯიბრება ბელგრადში, იანვარში მოეწყობა შეეიცარული სისტემით, 9 ტურად.

ᲛᲝᲙᲠᲘᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲗᲐᲗᲛᲐᲜᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲡᲘᲡᲢᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 6 იანვარი. (საკდესის კორ. ბ. ივანოვი). ამერიკელი საზოგადოებრიობა აღაშფოთა სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილებამ, ქვეყანაში ჩამოსვლის ვიზა მისცეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პროფესიონალ მოკრივეს კ. ენოტცეს, რომელსაც განზრახული აქვს რამდენიმე შეხვედრა გამართოს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს „სპორტსმენი“ არათუ რასისტული რეჟიმის წარმომადგენელია, არამედ თვითონაც გამოუსწორებელ რასისტად არის ცნობილი. კ.ნოტცე ,ამ ცოტა ხნის წინათ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პოლიციაში მსახურობდა და აპარტეიდის ქვეყნის „წესრიგის გუშაგთა“ შორისაც კი გამოირჩეოდა ადგილობრივი მკვლელებისადმი სასასტიკეთ. მაგალითად, 1977 წელს მან სრულიად უმიზეზოდ დააკავა პრეტორიის ქუჩაში ზანგი ყმაწვილი, ცემა დაუწყო და როცა ამ უკანასკნელმა ყვირილით საშველად მოუხმო ხალხს, გულგრილად დაახალა პისტოლეტი. ყმაწვილი, რომელიც სასწაულით გადაარჩინეს სიკვდილს, სამუდამოდ დახეიბრდა...

ქვეყნის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლობა მოითხოვს აუკრძალონ „მოკრივის ხელთამანიან რასისტს“ შეერთებულ შტატებში ჩამოსვლა და გააუქმონ შეხვედრები მისი მონაწილეობით. ვაშინგტონში პრესკონფერენციაზე გამოსვლისას თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ ჯ. ჯექსონმა თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალთა ასეთი გადაწყვეტილება ფარულ ხდის ადამიანის უფლებათა საკითხში ადმინისტრაციის ორპირულ პოლიტიკას, როცა სიტყვით გმობენ აპარტეიდის ანტიხალხურ რეჟიმს, საქმით კი ყოველნაირად უჭერენ მხარს რასისტებს.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲨᲐᲠᲨᲐᲕᲚᲔᲚᲘ სპორტული შედეგების მიხედვით, საიუბილეო, 50-ე გამოკითხვის შემდეგ, დასახელებულია საბჭოთა ჩოგბურთელი ქალებისა და ვაჟების ათეულები.

ქალთა შორის „პირველი ჩოგანი“ მიეკუთვნა 19 წლის დონეცკელ **ე. გრანატუროვას,** მეორე ადგილზე გავიდა მოსკოველი **ნ. ჩმირიოვა,** მესამეზე — რიგელი **ი. შევჩენკო.** ამ ათეულში საპატიო მიზეზით ვერ მოხვდა ო. მოროზოვა, რომელიც დედა გახდა და 1978 წელს კორტებზე არ გამოჩენილა.

ვაჟთა შორის ზედიზედ მეათედ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელად აღიარებულია თბილისელი **ა. მეტრეველი,** აღსანიშნავია, რომ ასეთი წარმატება ჯერ არც ერთ ჩოგბურთელს არ ჰქონია. მეორე ადგილზეც ქართველი სპორტსმენი **თ. კაკულია** გავიდა, მესამეა მოსკოველი **ვ. ბორისოვი.**

ᲒᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ

ᲛᲝᲜᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ზამთრის არდადეგებია, უხარიათ მალხაზებს — ნაირფერად მორთულ ნაძვისზეებთან მოლხენას რა სჯობს, საზეიმო კონცერტებსა და კარნავალებს რა დალევს. მერედა, რა ტკბილია თოვლის პაპას საჩუქრები. თუ ბიჭი ხარ, მადი და გამოიჩინე თავი, გამოავლინე ნიჭი და უნარი უამრავ ვიქტორინასა და დილაში.

თბილისის სპორტის სახახლეში გამართულ ნაძვისხესთან პატარები ზღაპრულ სამყაროში გრძნობენ თავს, ათას გასართობ და სალაღობო წარმოდგენას მართავენ თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრისა და რუსთაველის სახალხო თეატრის მსახიობები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: თოვლის პაპა ბავშვებთან.

Გ. ᲑᲝᲒᲝᲜᲘᲐᲡ ფოტო.

ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲠᲐᲯᲝᲖᲔ

ᲗᲣ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲨᲔᲕᲐᲛᲩᲜᲔᲕᲗ

ᲐᲥᲪᲔᲚᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲤᲡᲘᲥᲝᲜᲔᲠᲕᲘᲡᲣᲚᲘ ᲐᲨᲚᲘᲚᲝᲑᲐᲜᲘ

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ათეული წლების მანძილზე მთელი მსოფლიოს მოსახლეობის ფიზიკურ განვითარებაში გარკვეული ცვლილებები შეინიშნება; მნიშვნელოვანი ძვრები ხდება ადამიანის ორგანიზმში. ეს პროცესი, რომელიც ცნობილია აქცელერაციის სახელწოდებით, ძირითადად, გულისხმობს ბავშვის ფიზიკური, სქესობრივი და ფსიქიკური განვითარების დაჩქარებას.

აქცელერაციის მიზეზები დღემდე საბოლოოდ არ არის დადგენილი. ერთნი აქცელერაციას უკავშირებენ ჩვენი კვების შეცვლას (კვების პროდუქტებში ცილის მნიშვნელოვანი გაზრდა); მეორენი — მზის სხივებით სხეულის შედარებით მძლავრ დასხივებას უფრო მსუბუქი ტანსაცმლის ხმარების შედეგად (ჰელიოტროპული „ჩაჭარება); მეცნიერთა მესამე ჯგუფი აქცელერაციის მიზეზად ასახელებს თანამედროვე ცხოვრების ვეგეტატიურ გამღიზიანებლებს, ურბანიზაციის ტრავმებს; ნაწილი — რადიაქტიური ფონის გაზრდას, გენეტიკურ თვისებათა ცვლილებას და სხვ.

აქცელერაციის პროცესი ჯერ კიდევ ბავშვის დაბადებამდე იწყება. ამის შედეგია, რომ დღეს ახალშობილი ზომით და წონით უფრო დიდი იბადება, რომ ის წონაში ერთიორად უფრო ადრე მატულობს, კბილები უფრო ადრე ეჭრება, ვიდრე ეს 30 და მეტი წლის წინათ ხდებოდა. თანამედროვე მოზარდი რამდენიმე სანტიმეტრით უფრო მაღლები არიან და უფრო მეტს იწონიან, ვიდრე მათი თანატოლები წარსულში.

დღემდე არ არის ერთიანი აზრი არც აქცელერაციის პროცესის ბიოლოგიური მიზანშეწონილობის შეფასებაში. მკვლევართა ნაწილი ამ პროცესს დადებითად აფასებს. და მართლაც, ნაადრევად განვითარებულ ბავშვთა უმრავლესობა კარგ ფიზიკურ მონაცემებს ავლენს; მეორე ჯგუფი კი საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

აქცელერაციის გავლენით ბავშვთა ორგანიზმში ხშირად უფრო ადრე იწყება მომწიფების (გარდატეხის) პერიოდისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ფუნქციური და პათოლოგიური პროცესი. შესამჩნევად „გაახალგაზრდავდა“ ისეთი დაავადებანი, რომელნიც წინათ მხოლოდ მოზრდილებში გვხვდებოდა (ჰიპერტონია, დიაბეტი, რევმატიზმი, შიზოფრენია და სხვ.).

აქცელერაციის პროცესი მნიშვნელოვან დაღს ასვამს ბავშვის გარეგნობას, ფსიქიკური ფუნქციების მდგომარეობას, ემოციურ სფეროს, ნებელობას.

ადრე მომწიფების შემთხვევებში, 9-10 წლის ბიჭებს ხშირად მამაკაცურად ეცვლებათ ხმა, ამოსდით ულვაშები, ამავე ასაკის ზოგიერთ გოგონას კი სწრაფად ეზრდება სარძევე ჯირკვლები, ჭარბად უგროვდება ცხიმოვანი ქსოვილი სხეულის გარკვეულ უბნებში, ნაადრევად უყალიბდება სხეულის ქალური პროპორცია და აქვს ისეთი ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია 14-15 წლის და უფრო მეტი ასაკის ქალიშვილებისათვის.

თავისებურად მიმდინარეობს ასეთ ბავშვთა ფიზიკური განვითარება. მართალია, 10-11 წლის ასაკში ისინი ზედმეტად იზრდებიან და მაღლდებიან, მაგრამ შემდგომში სიმაღლის ტენდენცია მკვეთრად ქვეითდება და ზოგჯერ 14-15 წლის ასაკში ისინი ტანით უფრო პატარები არიან, ვიდრე მათი თანატოლები. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე სხეულის აგებულების არაპროპორციულობა. დამახასიათებელია გრძელი, „დაკიდული“ ტანი და შედარებით მოკლე კიდურები.

მიუხედავად იმისა, რომ სქესობრივად ადრეულად მომწიფებულ ბავშვთა გონებრივი განვითარება ხშირად ასაკობრივ ნორმას (და არა ბიოლოგიური სიმწიფის დონეს) შეესაბამება, მათ ხშირ შემთხვევაში ფსიქიკური ფუნქციების სწრაფი განლევადობა, ინტელექტის დაქვეითება ახასიათებთ, ყურადღება ეფანტებათ, ადვილად იღლებიან.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელ ბავშვებს, რომლებიც მშვიდ და უკომფლიქტო ოჯახურ გარემოცვაში იზრდებიან, როგორც აქცელერაციის მოვლენები, ისე ,ეგრეთწოდებული გარდატეხის პერიოდის ,ჭრები, შესაბამისი გართულების გარეშე გადაიტანენ, თუმცა ასეთ ბავშვებშიც აქცელერაციის პროცესი მაინც გარკვეულად აღრმავებს გარდატეხის პერიოდისათვის ტიპიურ ხასიათობრივ და ნეიროფსიქიკურ ცვლილებებს.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სრულიად განსხვავებულია ,ამ ბავშვთა ნეიროფსიქიკური მდგომარეობა, რომელთაც აქცელერაციის ნიშნები უვითარდებათ ნერვული სისტემის ორგანული დაზიანების ან ქრონიკულად მიმდინარე შინაგანი დაავადების ფონზე. აქცელერაციის მოვლენებს აღრმავებს აგრეთვე ბავშვთა აღზრდის არაკეთილსასურველი გარემო. იმ შემთხვევაში, როცა აქცელერაციის პროცესი ემთხვევა ზემოთ ჩამოთვლილი უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედებას, ვითარდება მთელი რიგი ავადმყოფური მოვლენები როგორც ფსიქონერვულ, ენდოკრინულ, გულის და სისხლძარღვთა სისტემების მხრივ, ისე ხასიათობრივი გამწვავებისა და ქცევის მოშლის ხაზით. აღნიშნულ პირობებში ნაადრევად მომწიფებული ბავშვების უმრავლესობა გამოირჩევა ფსიქოპათიისმაგვარი გამოვლინებით და საერთოდ ქცევის გამოხატული მოშლით. ფსიქომოტორული განშფრუჭებული, აფექტური განტაგირთვების, აგრესიული ქცევის და ზოგიერთი სხვა უარყოფითი თვისების (ტყუილის თქმა, ზოგჯერ ქურდობა) გამო, ასეთ ბავშვებს გარემოსთან შემგუებლობა მკვეთრად დაქვეითებული აქვთ. მეტად დამახასიათებელია ლტოლვაცთა ბათოლოგია და ზოგჯერ მათი გაუკუღმართება. ბიჭების ქცევაში აღინიშნება შინიდან გაქცევა, უმიზნო ხეტიალი (დრომიმანული გამოვლინება), სიმკაცრე და ზოგჯერ სადიზმი სხვებთან დამოკიდებულებაში. გოგონებში ხშირია სექსუალური შინაარსის ფანტაზია, მიდრეკილება ტყუილი ამბების შეთხზვისადმი.

არცთუ ისე იშვიათად, ნაადრევად მომწიფებული ბავშვები ღწყებენ თამბაქოს წევას, ეწევიან ალკოჰოლურ სასმელებს და ზოგჯერ ნარკოტიკულ ნივთიერებებსაც.

ფიზიკური და სქესობრივი მომწიფების ნიშნებს, განსაკუთრებით კი თუ ისინი აღმოცენდნენ ნვრვული სისტემის გადატანილი ორგანული დაზიანების ფონზე, რამდენიმე წლით ადრე ხშირად წინ უსწრებს დამახასიათებელი ვეგეტატურ-დიენცეფალური მოვლენები, რომლებიც წინასწარ მაუწყებელ ნიშნებად უნდა ჩაითვალოს. ამ უკანასკნელთ ეკუთვნის: პერიოდული თავის ტკივილი, თავის დამძიმება შეერძნება — გულის რევით, დროდადრო უმიზეზოდ განვითარებული მკვეთრი საერთო სისუსტე, ძილის დარღვევა, მადის პერიოდული გაძლიერება ან სრული უმადობა, ტემპერატურის ხშირი უმიზეზო მომატება, შემცივნების ხანმოკლე მდგომარეობანი, სხეულის სხვადასხვა ნაწილის ტკივილის შეერძნება, ხელფეხის დაბუჟება და სხვა. ჩამოთვლილი ნიშნები ვლინდება პერიოდულად შეტევების სახით.

უნდა გვახსოვდეს, რომ ნაადრევი სქესობრივი მომწიფება (მისთვის დამახასიათებელი ფიზიკური და ნეიროენდოკრინული ნიშნებით) ყოველთვის არ მიუთითებს აქცელერაციის პროცესზე. ზოგჯერ იგი მეორადია და თავის ტვინის ორგანული დაავადებით და მასთან დაკავშირებული ენდოკრინული სისტემის ფუნქციის მკვეთრი დარღვევით არის გამოწვეული.

ვინაიდან აქცელერაციის შედეგად არსებობს გარკვეული შეუსაბამობა ბავშვის ნაადრევ ფიზიკურ, სქესობრივ განვითარებასა და მის პიროვნულ და სოციალურ სიმწიფეს შორის, ამიტომ ასეთი ბავშვები, როგორც აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი მიუთითებს, მოკლებული არიან საჭირო თვითკრიტიკას, თვითანალიზს, სათანადო პიროვნული კონტროლის შესაძლებლობას, მოვალეობის გრძნობას. არცთუ იშვიათად, ასეთი კატეგორიის ბავშვები სჩადიან ანტისაზოგადოებრივ და ანტისოციალურ საქციელს. საინტერესოა ისიც, რომ ეგრეთ წოდებულ ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა და მოზარდთა შორის ხშირად გვხვდება აქცელერაციის გამოხატული ნიშნები. აღნიშნული გარემოება აყენებს მთელ რიგ სამედიცინო, პედაგოგიურ, იურიდიულ და სოციალურ პრობლემებს.

ბავშვთა ნაადრევი ბიოფსიქოლოგიური მომწიფების კანონზომიერების, მომწიფების წინასწარმაუწყებელი ნიშნების ცოდნის და განსაკუთრებით აქცელერაციის მიმდინარეობის დამამძიმებელი პირობების დროული დადგენის საფუძველზე, სათანადო სამედიცინო და პედაგოგიური ღონისძიებების გატარებით საფსებით შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ როგორც მოსალოდნელი აშლილობანი ფსიქონერვული სფეროს მხრივ, ისე ქცევის პათოლოგია და მასთან დაკავშირებული გართულებანი.

1 იანვარს, 1979 წლის ბავშვთა წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით, ცენტრალური ტელევიზიით გამოსვლის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, როცა ბავშვებს ახალ წელს ულოცავდა აღნიშნა: „...საბჭოთა კავშირში ვცდილობთ ყველაფერი ვიღონთ, რათა ბავშვობის წლები ჯანსაღი და ბედნიერი იყოს... ჩვენ ვცდილობთ ბავშვებს ვასწავლოთ სიკეთე, მეგობრობა, ვასწავლოთ იცხოვრონ კეთილშობილურად ყოველი ეროვნებისა და კანის ფერის ყველა ადამიანთან, ვასწავლოთ მათ შრომის პატივისცემა და შრომა ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ“.

Მ. ᲛᲔᲡᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს სსრ ,ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბავშვთა განყოფილების ხელმძღვანელი, რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა მთავარი ფსიქიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

ᲨᲔᲛᲘᲗᲕᲔᲕᲐ

ᲓᲐᲗᲕᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ

ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔᲗᲐ ,ავშირის წევრი, უშიშარი მონადირე ტუხა ჩიტალაძე ამას წინათ უწერის ტყეში სანადაროდ იყო წასული. უცბათ იგი ვეებერთელა დათვს გადაეყარა, მაშინვე ტყვია დაახალა, მაგრამ ბეჭში დამიზნებულმა ტყვიამ დათვს მხოლოდ ტყავი გაუკაწრა.

მონადირე დაჭრილ მხეცს გამოედევნა, მაგრამ დათვმა ემმაკობა იხმარა, იგი ადამიანს ბუჩქებში ჩაუსაფრდა და მოულოდნელად ეძგერა. გამწარებულმა მონადირემ დათვს პირში ხელი ჩაუყო, ენა დაუჭირა და მის ამოგლეჯას ცდილობდა, ამასთანავე მთელი სიძლიერით ყურში ჩაჰკიცელა. დათვი შეშინდა და გაიქცა.

დატრირულ და დაკბენილ მონადირეს ონის რაიონული საავადმყოფოს ექიმებმა უმკურნალეს. ახლა ის თავს კარგად გრძნობს.

Დ. ᲮᲐᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲐᲓᲘᲝ

8 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

06.00 — უკანასკნელი ცნობები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.10 — ვ. აზარაშვილი — კამერული ნაწარმოებები, 11.45 — აგროქიმია — მეცნიერულ საფუძვლებზე, 12.15 — ნ. გიგაური — სიმღერები, 12.25 — პოეზია უპირველეს ყოვლისა — გ. აბაშიძის ლექსები, 12.30 — ი. შტრაუსი — ვალსი „ვენის ტყის ზღაპარი“, 12.45 — ლირიკული მელოდიები, 14.00 — ლიტერატურული კითხვა — შ. რუსთაველი — „ვეფხისტყაოსანი“, 14.20 — კონცერტი ა. ეშპაის ნაწარმოებებიდან, 17.15 — მოსწავლეთათვის რადიოდადგმა „იავნანამ რა ჰქმნა?!“, 19.00 — რიტმი — მწყობრი, ხარისხი— საუკეთესო, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — ჯ. ვერდი. ოპერა „აიდა“. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლის სატრანსლაციო ჩანაწერი, 23.30 — გ. ყანჩელი — კინოფილმების მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲗᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

7 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ᲐᲑᲔᲡᲐᲚᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠᲘ** (დღისით); შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ᲨᲣᲨᲐᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲚᲝᲑᲐ** (დღისით), **ᲡᲘᲣᲯᲐᲠᲣᲚᲘ ᲗᲔᲚᲐᲒᲐᲯᲕᲘᲗ** (საღამოს); კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ᲠᲕᲐ ᲛᲝᲜᲘᲗᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ** (დღისით), **ᲘᲝᲗᲘᲛ ᲒᲣᲠᲯᲘᲫᲔ** (საღამოს, მე-200 წარმოდგენა); ვ. **ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ** სახელობის მუსიკალური კომედიის — **ᲣᲐᲠᲐᲛᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲛᲝᲚᲘᲣᲐᲕᲡ** (დღისით), **ᲩᲐᲜᲩᲣᲠᲐ** (საღამოს); მინიატურების სახელმწიფო — **ᲨᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲖᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ**; მეტეხის თეატრი — **ᲨᲔᲒᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ — ᲨᲠᲔᲛᲘ**; კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო — **ᲬᲐᲛᲔᲑᲘ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ.**

რედაქტორის მოადგილე
Ვ. ᲫᲐᲠᲣᲨᲘᲫᲔ.

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲐ:

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილ